



USAID


FROM THE AMERICAN PEOPLE

**The USAID
Agriculture Program**

ბიოგაზარი საქართველოში:

მოქმედი პირები, პრობლემები,
შესაძლებლობები

კვლევის ანგარიში





ამ კვლევის მომზადება შესაძლებელი გახდა ამერიკის შეერთებული შტატების საერთაშორისო სააგენტოს (USAID) დახმარებით, კონტრაქტი No. 72011418C00001 ფარგლებში. ნაშრომში გამოთქმული შეხედულებები ეკუთვნის ავტორს და არ გამოხატავს ამერიკის შეერთებული შტატების საერთაშორისო სააგენტოს შეხედულებებს.

კვლევა მომზადდა ბიოლოგიურ მეურნეობათა ასოციაცია „ელკანას“ მიერ USAID-ის სოფლის მეურნეობის პროგრამის ტექნიკური პროგრამის ფარგლებში.

- 4 აბრევიატურები
- 5 განმარტებები
- 2 წინასიტორია
- 6 მოკლე მიმოხილვა
- 8 კვლევის მეთოდოლოგია
- 9 I. მცენარეული ბიოპროდუქტების ბაზარი საქართველოში
 - 9 I.ა. საქართველოში ბიონარმოების ისტორია
 - 11 I.ბ. ბიონარმოების ხელშემწყობი გარემო
 - 14 I.გ. განათლება და კვლევები ბიონარმოებაში
 - 15 I.დ. ბიონარმოების საშუალებების მომწოდებლები
 - 18 I.ე. ბიოსერტიფიცირება
 - 20 I.ვ. ბიონარმოების ხელშემწყობი არასამთავრობო ორგანიზაციები და კომპანიები
 - 20 I.ზ. ბიონარმოების ხელშემწყობი დონორები და საერთაშორისო ორგანიზაციები
 - 21 I.თ. საქართველოში ბიონარმოების სექტორის დახასიათება
- 28 II. მთავარი შეზღუდვები და ხელშემწყობი ფაქტორები
- 32 III. შემდგომი ნაბიჯები
 - 36 დანართი 1. რესპონდენტი ფერმერების, კოოპერატივებისა და კომპანიების სია
 - 36 დანართი 2. მწარმოებლები
 - 41 დანართი 3. გადამამუშავებლები
 - 42 დანართი 4. მოვაჭრეები
 - დანართი 5. ბიონარმოების ხელშემწყობი ორგანიზაციები და ექსპერტები
 - დანართი 6. ევროკავშირში აკრედიტებული და საქართველოში უფლებამოსილი მასერტიფიცირებელი ორგანოები





აშშ	ამერიკის შეერთებული შტატები
შპს	შემზღვეული პასუხისმგებლობის საზოგადოება
AA	ევროკავშირთან ასოციირების ხელშეკრულება
ADA	ავსტრიის განვითარების სააგენტო
APMA	სოფლის მეურნეობის პროექტების მართვის სააგენტო
CNFA	„ახალი საზღვრების აშენება სოფლის მეურნეობაში“, საერთაშორისო არასამთავრობო ორგანიზაცია
DANIDA	დანის საერთაშორისო დახმარების სააგენტო
DAP (Dakks)	გერმანიის აკრედიტაციის ეროვნული ორგანო (ამჟამინდელი Dakks)
DCFTA	ევროკავშირთან ღრმა და ყოვლისმომცველი თავისუფალი სავაჭრო სივრცის შესახებ შეთანხმება
EC	ევროპის კომისია
EU	ევროკავშირი
GIZ	გერმანიის საერთაშორისო თანამშრომლობის პროგრამა
GL32	ორგანულად წარმოებული პროდუქტების წარმოების, გადამუშავების, ეტიკეტირებისა და მარკეტინგის სახელმძღვანელო
GMO	გენეტიკურად მოდიფიცირებული ობიექტი
GRETA	პროექტი „მწვანე ეკონომიკა: მდგრადი მთის ტურიზმი და ორგანული სოფლის მეურნეობა“
HEKS-EPER	საერთაშორისო დახმარების შვეიცარიული არასამთავრობო ფონდი
IFOAM	სოფლის მეურნეობის მოძრაობის საერთაშორისო ფედერაცია
ISET	ი. ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტთან არსებული ეკონომიკის საერთაშორისო სკოლა
JAS	იაპონიის სოფლის მეურნეობის სტანდარტი
NOP	ეროვნული ორგანული პროგრამა
PIN	„ხალხი გაჭირვებაში“, ჩეხური არასამთავრობო ორგანიზაცია
USAID/REAP	USAID-ის საქართველოს სასოფლო-სამეურნეო წარმოების ეფექტიანობის აღდგენის პროექტი
SDC	შვეიცარიის განვითარების სააგენტო
SIDA	შვედეთის საერთაშორისო განვითარების სააგენტო
ToR	სამუშაო დავალება
TRACES	ვაჭრობის კონტროლისა და ექსპერტული სისტემა
UNDP	გაეროს განვითარების პროგრამა
USAID	აშშ-ის საერთაშორისო განვითარების სააგენტო
USDA	აშშ-ის სოფლის მეურნეობის დეპარტამენტი

მანმარტეპები



ბიომეურნეობა სასოფლო-სამეურნეო საქმიანობის სისტემაა, რომელიც მოიცავს მეურნეობის დაგეგმვის, მართვისა და წარმოების ისეთ მეთოდებს, რომლებიც ხელს უწყობს ეკოსისტემაში ბუნებრივი წონასწორობისა და ბიომრავალფეროვნების შენარჩუნებას.¹ აღსანიშნავია, რომ ტერმინები „ბიო“, „ეკო“ და „ორგანული“ იდენტურია მნიშვნელობით. სამივე მათგანი ბიომეურნეობაში წარმოებულ საქმიანობებსა თუ ამ საქმიანობებით მიღებულ პროდუქტებს მიემართება და სინონიმებად გამოიყენება (მაგ., ბიომეურნეობა = ეკომეურნეობა = ორგანული მეურნეობა, ბიოპროდუქტი = ეკოპროდუქტი = ორგანული პროდუქტი). საქართველოს კანონმდებლობა იყენებს ტერმინებს - ბიოპროდუქტი და ბიონარმეობა.

ბიონარმეობა არის საერთაშორისო სტანდარტებითა და საქართველოს კანონმდებლობით დადგენილი, მეურნეობის / წარმოების მართვის ერთიანი სისტემა, ისეთი მეთოდების გამოყენებით, როგორც უმრუნველყოფს ბიომრავალფეროვნების, ეკოლოგიური და ბიოლოგიური ბალანსის შენარჩუნებას, გარემოს დაცვას, ბუნებრივი რესურსების ეფექტიან გამოყენებას და შეესაბამება ამ წესებით დადგენილ მოთხოვნებს წარმოების, გადამუშავების, შენახვის, შეფუთვის, ტრანსპორტირების, ეტიკეტირების / ნიშანდების, დისტრიბუციისა და რეალიზაციის ეტაპებზე.

ბიოპროდუქტი არის სურსათი/ცხოველის საკვები, მათ შორის, სურსათის/ ცხოველის საკვების წარმოებაში გამოყენებული საფუარი, ასევე მცენარეთა ვეგეტაციური გამრავლებისა და სათესლე მასალა, რომლის წარმოება, გადამუშავება, შეფუთვა, შენახვა, ტრანსპორტირება, ეტიკეტირება/ნიშანდება და რეალიზაცია შეესაბამება ბიონარმეობის წესებით დადგენილ მოთხოვნებს.

ბიომეთოდი არის წარმოების ყველა ის მეთოდი, რომელიც ეფუძნება მეურნეობაში არსებული განახლებადი რესურსების ფართო გამოყენებას, ბუნებრივი სასოფლო-სამეურნეო ეკოსისტემების მდგრადობის შენარჩუნებას, ბიოპროდუქტის გადამუშავებისას მისი ორგანული მთლიანობისა და აუცილებელი სასარგებლო თვისებების შენარჩუნებას, სრულად გამორიცხავს სინთეზური საშუალებით გენმოდიფიცირებული ორგანიზმისა და გენმოდიფიცირებული ორგანიზმიდან მიღებული პროდუქტის გამოყენებით ბიოპროდუქტის წარმოებას და შეესაბამება ბიონარმეობის წესებით დადგენილ მოთხოვნებს.

ბიონარმეობის სერტიფიკატი წარმოადგენს შესაბამისობის შეფასების დოკუმენტს, რომლითაც სერტიფიკაციის ორგანო ადასტურებს, რომ სურსათი / ცხოველის საკვები, პირველადი წარმოების პროდუქტი, შეესაბამება ამ წესებით დადგენილ მოთხოვნებს.

სერტიფიცირების ორგანო არის საერთაშორისო აკრედიტაციის მქონე, ან სსიპ - აკრედიტაციის ერთიანი ეროვნული ორგანოს - აკრედიტაციის ცენტრის მიერ აკრედიტებული ორგანო, რომელიც აფასებს სურსათის / ცხოველის საკვების, ასევე, პირველადი წარმოების პროდუქტის

შესაბამისობას დადგენილ მოთხოვნებთან.

კონვერსია არის არაბიომეურნეობიდან ბიომეურნეობაზე გადასვლის გარდამავალი პერიოდი, რომლის დროსაც გამოიყენება ბიონარმეობის მეთოდები.

პირველადი წარმოება არის პროცესი, რომელიც მოიცავს: მცენარის მოყვანას, მოსავლის აღების, ნაყოფის კრეფის ჩათვლით, ცხოველის გაზრდას, მოშენებას, აგრეთვე რძის წველას. პირველადი წარმოება, ასევე, მოიცავს ველურად მზარდი მცენარეების შეგროვებას.

გადამუშავება / დამზადება არის ნებისმიერი პროცესი, რომელიც მნიშვნელოვნად ცვლის თავდაპირველ ბიოპროდუქტს, მათ შორის – დაკვლა, დაჭრა, გაცხელება, შებოღვა, დაკონსერვება, დამწიფება, გამოშრობა, დამარილება, გამოწურვა, გაცივება ან ამ პროცესთა ნებისმიერი კომბინაცია და სხვა, ასევე, შეფუთვა, ეტიკეტირება / ნიშანდება.

ბიონარმეობა ეფუძნება ზოგად და სპეციფიკურ პრინციპებს. ზოგადი პრინციპია, მაგალითად, „ბიონარმეობის დაგეგმვისა და მართვისას მხოლოდ ეკოსისტემის შიდა ბუნებრივი რესურსების ცოცხალი ორგანიზმების და წარმოების ბიოლოგიური და მექანიკური მეთოდების გამოყენება“ და „არაგანახლებადი რესურსებისა და გარე რესურსების გამოყენების მაქსიმალური შეზღუდვა“. სპეციფიკური პრინციპია, მაგალითად, „ნიადაგის ნაყოფიერებისა და სიცოცხლისუნარიანობის შენარჩუნების ღონისძიებების განხორციელება, ნიადაგის ნაყოფიერების ამაღლების, ნიადაგის გამკვრივებისა და ეროზიის წინააღმდეგ ბრძოლა“ და „ერთსა და იმავე მეურნეობაში ბიოლოგიური და კონვერსიული საწარმო/სამეურნეო ერთეულების გამიჯვნა.“

1 ბიონარმეობის შესახებ საქართველოს მთავრობის დადგენილება N198, 2013 წლის 30 ივლისი: http://gov.ge/files/276_37826_866935_198300713.pdf.



წინამდებარე დოკუმენტი წარმოადგენს საქართველოში მემცენარეობის მიმართულებით ბიონარმოების სისტემური შესწავლის მცდელობის შედეგებს. კვლევა განახორციელა ბიოლოგიურ მეურნეობათა ასოციაცია "ელკანამ" აშშ-ის საერთაშორისო განვითარების სააგენტოს (USAID) სოფლის მეურნეობის პროგრამის დაკვეთით.

ბიოგაზრის ამაჟინდელი მდგომარეობა, ტენდენციები და საექსპორტო პოტენციალი

სხვადასხვა მიზეზის გამო, რაც ანგარიშშია განხილული, საქართველოში ბიონარმოება ჯერ კიდევ ჩანასახის სტადიაზეა: არაა ჩამოყალიბებული ბიოპროდუქტების სრულფასოვანი ბაზარი. დღეს საქართველოში ბიოსერტიფიკატის 27 მფლობელია, ხოლო 69 პირი კონვენსიის პროცესშია. ჯამური 96 ბიოპერატორიდან 14 მხოლოდ პირველადი სასოფლო-სამეურნეო პროდუქციის წარმოებითაა დაკავებული, 73 - ერთდროულად პირველადი და მეორადი პროდუქციის წარმოებით, 6 კი - მხოლოდ მეორადი პროდუქციის წარმოებით და სამივე - ბიოლოგიური საწარმოო საშუალების წარმოებით. ამასთან აღსანიშნავია, რომ საქართველოში ჯერჯერობით არც ერთი სავაჭრო ობიექტი ან ვაჭრობაში ჩართული კომპანია არაა სერტიფიცირებული (კონვენსიამაც კი არ დგას). მეხილეობა-მებოსტნეობის დარგში არასახარბიელო მდგომარეობაა, რადგან ეს პროდუქცია მხოლოდ 18 ოპერატორს გააჩნია (აქ არ შედის საღვინე ჯიშის ვენახები) და მათ შორის მხოლოდ 6-ს გააჩნია ორგანიზებული სერტიფიკატი, ხოლო 12 - ჯერ კიდევ კონვენსიის პერიოდშია.

საქართველოში წარმოებული ბიოსერტიფიცირებული პროდუქტების რეალიზაცია მთლიანად საექსპორტო ბაზარზე ხდება და ამას თავისი მიზეზები აქვს:

- ბიოლოგიურ სერტიფიკატს მწარმოებლები საექსპორტო პროდუქციის წარმოებისათვის იღებენ;
- ადგილობრივ ბაზარზე ჯერ არ არის ცალკე გამოყოფილი ბიოლოგიური პროდუქტების სეგმენტი.

დღეს საქართველოს ბიოპროდუქტების ექსპორტის ძირითადი წილი გერმანიაზე მოდის, რაც არ არის გასაკვირი, რადგან გერმანიის ბიოპროდუქტების ბაზარი ევროპის ერთ-ერთ უდიდეს ბაზარს და იმავდროულად ერთ-ერთ უდიდეს ექსპორტიორს წარმოადგენს.

საერთოდ, ბიოლოგიური საკვები პროდუქტების მსოფლიო ბაზარი ჩამოყალიბებიდან დღემდე მრდის ტენდენციას სტაბილურად ინარჩუნებს. 2017 წლის მონაცემებით, მისმა საერთო მოცულობამ 97 მლრდ აშშ დოლარს მიაღწია. 1999 წელთან შედარებით, როდესაც ბაზრის მოცულობა სულ 15,2 მილიონი დოლარი იყო, ეს მნიშვნელოვანი მრდაა.

მიუხედავად იმისა, რომ სერტიფიცირებული ქართული პროდუქტი ადგილობრივ ბაზარზე არ იყიდება, ეს არ ნიშნავს, რომ ქართულ ბაზარზე არ არის წარმოდგენილი სხვა ქვეყნებიდან იმპორტირებული და სერტიფიცირებული ბიოლოგიური პროდუქცია. ასეთი პროდუქციის იმპორტს საქართველოში წამყვანი სუპერმარკეტების ქსელები

ანარმოებენ. ამასთან, საქართველოს სავაჭრო ობიექტებში ფაქტიურად არ მოიძებნება სერტიფიცირებული ბოსტნეული და ხილი.

საერთოდ, უნდა ითქვას, რომ ამ ეტაპისათვის საქართველოს ბაზარზე ბიოპროდუქციაზე არ არის გამოკვეთილი არც ფასთა სხვაობა და არც საბაზრო სეგმენტი.

დღეს საქართველოში სერტიფიცირებული ბიოპროდუქციის ასორტიმენტი მცირეა. თუმცა, წინამდებარე კვლევამ აჩვენა, რომ არსებობს გარკვეული რაოდენობის ბიზნესი, რომლებიც არაა სერტიფიცირებული, მაგრამ პროდუქტების წარმოებაში ბიოლოგიურ მეთოდებს იყენებს. ასეთი პროდუქტებისა და სერტიფიცირებული პროდუქტების ასორტიმენტი და ჯამური მოცულობები კი უკვე საკმაოდ თვალშისაცემია.

გამოკითხვის მიხედვით, წარმოების მოცულობის მხრივ, ვხედავთ, რომ ყველაზე დიდი წილები არამერქნული ტყის პროდუქტების, ჩაისა და ბოსტნეულის (მათ შორის კარტოფილის) წარმოებას უკავია. აქედან პირველი მთლიანად ექსპორტზე გადის, ხოლო დანარჩენი ორის უდიდესი წილი საქართველოში იყიდება. მოცულობის მიხედვით ლიდერთა სიას ხილი (მათ შორის კენკრა) და მარცვლეული აბოლოებს, რომელთა რეალიზაციის დიდი ნაწილიც ასევე ადგილობრივ ბაზარზე მოდის.

თუ შევხედავთ ფინანსურ მაჩვენებლებს, დავინახავთ, რომ შემოსავლების ყოველწლიური მრდა 20%-ს აჭარბებს, რაც ქვეყნის მასშტაბით ბიოლოგიური მეთოდებით წარმოებული პროდუქციის მრდის დადებით პოტენციალზე მეტყველებს. აღსანიშნავია ის ფაქტიც, რომ ყველაზე დიდი მრდის მაჩვენებელი ბოსტნეულის, ჩირების და ხილის წვენების წარმოებას აქვს, რაც ამ პროდუქციაზე ჭარბ მოთხოვნას ადასტურებს.

როგორც ვხედავთ, წარმოების დინამიკა დადებითია და მოგ პოზიციამე სტაბილურ მრდასაც განიცდის. სავარაუდოდ, შესაბამისი ხელშეწყობის შემთხვევაში, ამ პროდუქციის წარმოების სერტიფიცირებისა და მოცულობის მრდის საგრძნობი პოტენციალი არსებობს.

"ელკანას" გამოფენა-ბაზრობებისა და დეგუსტაციების დროს ჩატარებულმა მომხმარებელთა გამოკითხვებმა დააფიქსირა იმ ბიოპროდუქტების ჩამონათვალი, რომლებზეც ადგილობრივი მომხმარებლების დიდი მოთხოვნა ვრცელდება და რომელშიც შედის: ხილი, ბოსტნეული, ხილის წვენები, სხვადასხვა ჩაი, კენკრა და კარტოფილი. აღნიშნული დიდი მოთხოვნა დღეს მოსახლეობის ჯანმრთელობაზე ზრუნვის პოპულარობის მრდის ანარეკლია.

კვლევამ საქართველოს პოტენციალისა და საერთაშორისო ბაზრების ტენდენციების შედარებისა და გამოკითხული ფერმერებისა და ექსპორტების პასუხების ანალიზის საფუძველზე გამოავლინა ყველაზე პერსპექტიული საექსპორტო ბიოპროდუქცია და მათი შესაბამისი უცხოური ბაზრები - ყველა მათგანი ევროკავშირის წევრი ქვეყანაა.

გარემო

საქართველოში, ბიონარმოების კანონმდებლობის შექმნის პირველი მცდელობები ჯერ კიდევ 2002 წელს იყო. თუმცა, გადამწყვეტი მოვლენა 11 წლის შემდეგ მოხდა, როცა საქართველოს მთავრობამ მიიღო დადგენილება „ბიონარმოების შესახებ“. ეს ნორმატიული აქტი ძალაში 2014 წლიდან შევიდა და ემყარება ევროკავშირის შესაბამის კანონმდებლობასა და ბიონარმოების საერთაშორისო სტანდარტებს (IFOAM, GL32).

ბიონარმოების საკითხებზე მომუშავე მთავარი სახელმწიფო ორგანიზაცია საქართველოს გარემოს დაცვისა და სოფლის მეურნეობის სამინისტრო, რომელიც აქტიურად თანამშრომლობს არასამთავრობო და კერძო სექტორებთან და საერთაშორისო ორგანიზაციებთან. დღეისათვის ბიონარმოების მიმართულებით სამინისტროს საქმიანობა ეფუძნება გემოთ აღნიშნულ დადგენილებასა და სახელმწიფო პოლიტიკურ დოკუმენტს: 2015–2020 წლებში საქართველოს სოფლის მეურნეობის განვითარების სტრატეგიას, რომელშიც ბიონარმოება მოიხსენიება გარემოსა და ბიომრავალფეროვნების სტრატეგიული მიმართულების ფარგლებში. სამინისტროს ერთი-ერთი მთავარი სტრუქტურა, რომელიც ბიონარმოებასთან უშუალო შეხებაშია, არის სსიპ სოფლის მეურნეობის სამეცნიერო-კვლევითი ცენტრი.

ამჟამად სახელმწიფო იწყებს 0,5 მლნ ბიუჯეტის მქონე ხუთწლიან კომპლექსურ პროგრამას ორგანული პროდუქციის წარმოების და სერტიფიცირების ხელშეწყობის კუთხით, რაც საქართველოს პრემიერ-მინისტრის “შვანე ეკონომიკური პოლიტიკის” ინიციატივის ნაწილია. ეს გულისხმობს როგორც თანადადინანსებას და საგადასახადო შეღავათებს პირველადი და გადამამუშავებელი მწარმოებლებისთვის, ისე სერტიფიცირების პროცესსა და ცოდნის მიღებაში დახმარებას. ახალი ინიციატივა გახდება „ერთიანი აგროპროექტის“ პროგრამის ნაწილი. იმავდროულად აღსანიშნავია, რომ წარმოების ხელშეწყობა სხვადასხვა სახელმწიფო პროგრამაში ბიონარმოების მხარდაჭერა სხვა „არა-ბიო“ წარმოებების თანაბრად მოიაზრება.

განვითარებულ ბიობაზრებზე განსაკუთრებულად დიდ მნიშვნელობას ანიჭებენ ბიოპროდუქტების სერტიფიცირების სისტემას. საქართველოში დღეისათვის ჯერ-ჯერობით ერთი მასერტიფიცირებული ორგანო (შპს კავკასიანი) მოქმედებს, რომლის მიერ გაცემულ სერტიფიკატებსაც ევროკავშირი აღიარებს (მაგრამ აშშ - არა).

განათლება და კვლევები

მოცემულ მომენტში აკადემიურ სფეროში არც ერთ უმაღლეს სასწავლებელს არ გააჩნია ცალკე პროგრამა ბიონარმოების სფეროში. თუმცა, ეს არ ნიშნავს, რომ ზოგადად კვლევითი თუ აკადემიური მუშაობა ამ მიმართულებით არ მიმდინარეობს. ეს მუშაობა ან მიზნობრივი პროექტების ფარგლებში წარმოებს, ან შერეულადაა წარმოდგენილი სასწავლო პროგრამებში.

პრობლემები, ხელშეწყობი ფაქტორები და რეკომენდაციები

წინამდებარე კვლევის შედეგად საქართველოში ბიოლოგიური წარმოებისა და ბიოლოგიური პროდუქტების ბაზრის განვითარების შემაფერხებელი ფაქტორების საკმაოდ დიდი მრავალფეროვნება დაფიქსირდა. ამათგან გამოიყო შემდეგი ძირითადი პრობლემები:

- ▶ სერტიფიცირებული პროდუქტის მცირე რაოდენობა და ასორტიმენტი;
- ▶ სერტიფიცირების პროცესის ხანგრძლივობა (3 წელი) და მაღალი ფასი;
- ▶ ბიოლოგიური აგროწარმოების საკითხებში ფერმერთა ცოდნის ნაკლებობა და კვალიფიციური ბიოლოგიური ექსპერტების ხელმიუწვდომლობა;
- ▶ მცენარეთა დაცვის ბიოლოგიური საშუალებების ხელმიუწვდომლობა საქართველოში;
- ▶ ინფორმაციის ნაკლებობა როგორც ადგილობრივ, ასევე საექსპორტო ბიოპროდუქტების ბაზრების შესახებ.

ბიონარმოების ხელშეწყობი ფაქტორებიდან გამოსაკვეთია შემდეგი:

- ▶ საქართველოში სათანადო სტანდარტის ბიონარმოების კანონის მოქმედება;
- ▶ საქართველოში მასერტიფიცირებული ორგანოს არსებობა;
- ▶ სახელმწიფოს და დონორების მხრიდან ბიონარმოების პროგრამული თუ პროექტული მხარდაჭერის არსებობა;
- ▶ საქართველოს მომხმარებლის გემოვნური პრეფერენციები და მათი გარკვეული ნაწილის მზადყოფნა გადაიხადოს მეტი ხარისხიანი პროდუქტში;
- ▶ ადგილობრივ ბაზარზე ბიომეთოდებით წარმოებულ სწრაფად მზარდი მოთხოვნისა და ჯერ-ჯერობით დაბალი კონკურენციის არსებობა;
- ▶ საერთაშორისო ბაზრებზე, პირველ რიგში, ევროპის ქვეყნებში, სერტიფიცირებულ პროდუქტებზე მზარდი მოთხოვნის არსებობა;

- ▶ საქართველოში თანამედროვე საწარმოო საშუალებების ფართო ასორტიმენტის არსებობა.

კვლევის გუნდმა აღნიშნული პრობლემების მიზეზების, პერსპექტივებისა და საერთაშორისო გამოცდილების ანალიზის საფუძველზე რეკომენდაციების სახით წარმოადგინა საქმიანობების შემდეგი მიმართულებები:

- ▶ ბიონარმოებით დაინტერესებული მეწარმეების ხელშეწყობი პროგრამების შემუშავება, რომლებიც მიმართუ-



ლი იქნება სრულფასოვანი სასაქონლო ჯაჭვების შექმნასა სერტიფიცირების ფინანსური ტვირთის შემსუბუქებაზე (მაგ., მეტად მოთხოვნილი ბიოპროდუქტების ჯგუფისათვის სამოდელო სასაქონლო ჯაჭვის ანკობის ხელშეწყობა, სერტიფიცირებისა თუ კონვერსიის დროს რისკების დაზღვევის სახელმწიფო მხარდაჭერა და ა.შ.);

- ▶ ეფექტური ბიოსაკონსულტაციო სისტემის შექმნის ხელშეწყობა (მაგ., საერთაშორისო ექსპერტების ჩართვა ადგილობრივი სპეციალისტების გადამზადების პროცესში);
- ▶ ბიოსაწარმოო საშუალებების ასორტიმენტის გაზრდის ხელშეწყობა (მაგ., საწარმოო საშუალებების გამოცდაში და რეგისტრაციაში ხელშეწყობა);
- ▶ კვლევების ჩატარება ადგილობრივი ბაზრის მომხმარებელთა მოთხოვნების და საერთაშორისო ბაზრების ტენდენციების შესახებ და რეკომენდაციების შემუშავება.

კვლევის მეთოდოლოგია

წინამდებარე კვლევის კონკრეტული მიზანი იყო მემცენარეობაში საქართველოს ბიონარმოების დღევანდელი საერთო სურათის გამოკვეთა და ამ დარგის ყველა ძირითადი მონაწილის მეტ-ნაკლებად აღრიცხვა.

რაც შეეხება სურათს, მის გასარკვევად კვლევის გუნდმა წინასწარ შედგენილი კითხვარით მიმართა შესაბამის ექსპერტებს, პრაქტიკოსებსა და პოლიტიკის გამტარებლებს. ასევე გამოიყენა არსებული მეორადი ინფორმაცია.

მზარდი და დინამიკური ბიონარმოების დარგის ამჟამინდელი ძირითადი მონაწილეების აღსარიცხვად კი გამოყენებულ იქნა "ელკანას" არსებული ბენეფიციარ ფერმერთა ქსელი, ბიოსერტიფიცირების ორგანოს ოფიციალური მონაცემები და ინდივიდუალური მეორადი ინფორმაცია.

საერთო ჯამში, კვლევამ მოიცვა მემცენარეობის დარგში ბიომეთოდებით მწარმოებელი, გადამამუშავებელი თუ ამ პროდუქტების გამყიდველი კომპანიები (38), კოოპერატივები (24) და ფერმერები (102) - სულ 164. მწარმოებლების, გადამამუშავებლებისა და მოვაჭრეების პროფილები მოცემულია შესაბამისად დანართი #2-ში, დანართი #3-სა და დანართი 4-ში, ხოლო ყველა ამ კომერციული იურიდიული თუ ფიზიკური პირის ჩამონათვალი - დანართი 1-ში. გარდა ამისა, კვლევამ დაფარა ასევე სამთავრობო, საერთაშორისო და არასამთავრობო ორგანიზაციები (10-ზე მეტი) (იხ. დანართი 5). აღნიშნული 164 გამოკითხული კომერციული პირიდან:

- ▶ 143 მწარმოებელია (აქედან 98 ფერმერია, 25 კომპანია და 20 კოოპერატივი);
- ▶ 16 გადამამუშავებელია (აქედან 9 კომპანია, 4 კოოპერატივი და 3 ფერმერი);
- ▶ 5 გამყიდველია (აქედან 4 კომპანია და 1 ფერმერი).

გამოკითხულთა დაახლოებით ნახევარი წელს აპირებს ბიომეთოდებით წარმოების დაწყებას ან წელს ელოდება პირველ კომერციულ მოსავალს.

ფერმერების შემთხვევაში გამოკითხულთა საგრძნობ ნაწილს წარმოადგენდნენ ამ ქვედარგში ახლად შემოსული ან შესვლის კონკრეტული გეგმით გაცხადებული პირები. თუმცა, აღსანიშნავია, რომ ძნელია მკაფიო ზღვარის გავლენა ჩვეულებრივ და ბიონარმოებით აქტიურად დაინტერესებულ ფერმერებს შორის. ქვედარგი ძალიან დინამიკური და სწრაფად განვითარებადი და არის შემთხვევები, როცა ფერმერი იწყებს ბიომეთოდებით მცენარის მოყვანას, შემდეგ ანებებს თავს და მოგვიანებით კვლავ უბრუნდება მას. ამას სხვადასხვა მიზეზი აქვს, რაც მოგვიანებით კვლევის ტექსტშიც სათანადოდ აღინიშნება.

“ელკანას” შეფასებით, მოცემულ კვლევაში ვერ ჩაირთო ან უარი თქვა მონაწილეობაზე დაახლოებით 30-40 ფერმერულმა მეურნეობამ და რამდენიმე კომპანიამ, რომლებიც ამჟამად კვლევის ზემოთ ჩამოთვლილი სამიზნე მიმართულებებით, ბიომეთოდებით ეწევიან კომერციულ სოფლის მეურნეობას.

ბიომეთოდებით სოფლის მეურნეობის წარმოებაში იგულისხმება პრაქტიკა, როდესაც ფერმერი სამეურნეო საქმიანობას ახორციელებს ბიოლოგიური სასუქებისა და მცენარეთა დაცვის საშუალებების გამოყენებით და მოიხმარს მხოლოდ ბიოლოგიური სტანდარტით დაშვებულ პრეპარატებსა და დოზირებებს. თუმცა მოცემულ კვლევაში ზოგიერთი რესპონდენტი გულისხმობდა ისეთ ბაზისურ მდგომარეობასაც, როდესაც ის წარმოებაში მაინც იყენებს ქიმიურ პრეპარატებს, თუმცა მაქსიმალურად შეზღუდულად და თანაცხებ ისეთებს, რომლებიც არ გამოირჩევიან გრძელვადიანი ეფექტითა და/ან გვერდითი მოქმედებებით.

კვლევა შედგება როგორც ხარისხობრივი, ისე რაოდენობრივი კომპონენტებისაგან. პირველი კომპონენტის ფოკუსში იყო (ა) ადგილობრივი/საერთაშორისო ბაზრები, (ბ) ეროვნული მარეგულირებელი კანონმდებლობა და (გ) ორივე ამ საკითხთან დაკავშირებული პრობლემემატიკის ხარისხობრივი გამოვლინება. მეორე კომპონენტის ფოკუსში იყო (ა) ქვედარგში მოქმედი ძირითადი პირები, (ბ) მათი საქმიანობის ჯამური ეფექტი და მასშტაბი, (გ) პრობლემემატიკის რაოდენობრივი გამოვლინება (ფერმერებსა და კომპანიებს მიეცათ შესაძლებლობა შეეფასებინათ შემთავრებული და ხელშემწყობი ფაქტორები).



I. მცენარეული ბიოპროდუქტების ბაზარი საქართველოში

I.ა. საქართველოში ბიონარმოების ისტორია

საქართველო მდიდარი აგროარული მემკვიდრეობის მქონე ქვეყანაა, რომელიც ოდითგანვე სასოფლო-სამეურნეო ტრადიციებითა და კულტურული ფლორის მრავალფეროვნებით იყო ცნობილი. რთული მთაგორიანი ლანდშაფტი და მცირემიწიანობა არ იძლევა იმის საშუალებას, რომ საქართველოში მოყვანილმა სასოფლო-სამეურნეო პრო-

დუქციამ თანასწორი კონკურენცია გაუწიოს ინტენსიური საშუალებით წარმოებულ იაფ სასოფლო-სამეურნეო პროდუქციას, რომლითაც დღეს გაჯერებულია მსოფლიო ბაზარი. სამაგიეროდ, საქართველოს სოფლის მეურნეობას შეუძლია მაღალი ხარისხის კონკურენტუნარიანი ბიოპროდუქტები აწარმოოს და გაიტანოს მსოფლიო ბაზარზე, სადაც

მათვე მოთხოვნა განუხრელად იზრდება.


საქართველოში ბიონარმომების ისტორია ფაქტობრივად 1990-იან წლებში დაიწყო, როდესაც ფერმერთა წევრობაზე დაფუძნებული ორგანიზაცია - ბიოლოგიურ მეურნეობათა ასოციაცია "ელკანა" ჩამოყალიბდა. საქართველოში ბიომეურნეობის იდეის პროპაგანდა და ბიომეურნეობების ჩამოყალიბება გერმანული ორგანიზაციის — Bread for the World²- მრავალწლიანი დახმარებით წარმოებდა და ამ ღონისძიებებს სათავეში "ელკანა" ედგა. მოგვიანებით, ბიონარმომების ხელშეწყობ პრექტებს საქართველოში აფინანსებდნენ ასევე ორგანიზაციები Oxfam Novib, Avalon, Cordaid, HEKS EPER, ADA.

"ელკანას" საქმიანობის შედეგები იყო კანონი ბიოაგრონარმომების შესახებ საქართველოში, რომელიც პირველად 2006 წელს შევიდა ძალაში, და აგრეთვე პირველი მასერტიფიცირებული კომერციული ორგანოს - კავკასსერტის - ჩამოყალიბება იმავე წელს.³ სწორედ აქედან დაიწყო საქართველოში წარმოებული ბიოპროდუქტების განუხრელად მზარდი ექსპორტი.

ბოლო წლების მნიშვნელოვანი მიღწევა იყო ბიონარმომების საკანონმდებლო რეგულირების დახვეწა, ბიონარმომების შესახებ წესებისა (2013) და ბიო-ეტიკეტირებაზე მკაცრი მოთხოვნების (2014) შემოღება. ამის წყალობით მოხდა როგორც ექსპორტის, ისე იმპორტისა და ადგილობრივი წარმოების სტანდარტებთან დაახლოება და კეთილსინდისიერი კონკურენციისა და ხარისხიანი ბიოპროდუქციის წარმოებისა თუ ვაჭრობის ხელშეწყობა, რაზეც მეტყველებს ქვემოთ მოყვანილი დიაგრამა #1.

საქართველოში ბიონარმომების ხარისხობრივად ახალ ეტაპად უნდა ჩაითვალოს 2019 წლის ერთდროულად ორი მნიშვნელოვანი მოვლენა: 1. ორგანული წარმოების მხარდაჭერის სახელმწიფო პროგრამა, რომლის განხორციელებაც მალე დაიწყება, და 2. ამავე წელს დაწყებული საერთაშორისო პროექტი GRETA (დეტალები იხ. ასევე შესაბამის სექციაში, სადაც განიხილება საერთაშორისო მხარდაჭერა), რომელიც დასავლეთ საქართველოს ზოგიერთ (მთიან) რაიონებში ბიონარმომების გეგმაზომიერ განვითარებას დაუდებს სათავეს.

დიაგრამა #1. ორგანული პროდუქტის ექსპორტი საქართველოდან წლების მიხედვით, ტ⁴



2 გასული საუკუნის 90-იან წლებში პირველი პროექტები დაფინანსდა გერმანიის პროტესტანტული ეკლესიის ორი ფონდის მიერ: Diakonisches Werk და EZE/EED; შემდგომში ეს ფონდები გაერთიანდნენ ორგანიზაცია Bread for the World-ში (<https://www.brot-fuer-die-welt.de>), რომელიც დღესაც "ელკანას" მხარდამჭერია.

3 რაც შესაძლებელი გახდა შვეიცარიის განვითარების სააგენტოს (SDC), შვეიცარიული ორგანიზაცია HEKS-EPER-ისა და გერმანიის მთავრობის საერთაშორისო თანამშრომლობის (GIZ) მიერ 2002 წელს მხარდაჭერილი პროექტის - „ორგანული სოფლის მეურნეობისა და სერტიფიცირების სისტემის განვითარება სამხრეთ კავკასიაში“ - წყალობით, რომელშიც საქართველოს მხრიდან ჩართული იყო ელკანა.

4 წყარო: კავკასსერტი.

I.ბ. ბიონარმოების ხელშეწყობი გარემო

2018 წლისათვის მსოფლიოს 182 ქვეყნიდან, სადაც ორგანული წარმოება არსებობს, 93 ქვეყანას ჰქონდა ამ სფეროს მარეგულირებელი სპეციალური კანონმდებლობა, ხოლო 16 ქვეყანაში მიმდინარეობდა მუშაობა ასეთი კანონმდებლობის შექმნაზე.⁵

მიუხედავად იმისა, რომ პირველი ბიოფერმერები ჯერ კიდევ I მსოფლიო ომის შემდგომ გამოჩნდნენ ევროპაში, ბიონარმოების ჰარმონიზებული სტანდარტები 1970-იან წლებში შემუშავდა. ბიობაზრისა და პროდუქციის ხარისხის კონტროლის საჭიროების ზრდასთან ერთად, 1991 წელს ევროკავშირმა მიიღო ბიონარმოების მარეგულირებელი პირველი კანონმდებლობა - რეგულაცია 2092-1991, რომელიც 1993 წლიდან შევიდა ძალაში. ამას მოჰყვა მსოფლიოს სხვა ქვეყნების მიერ ეროვნული სტანდარტებისა და საკანონმდებლო აქტების მიღება.

მიუხედავად კონკრეტულ ქვეყნებში ეროვნული კანონმდებლობის არსებობისა, ბიონარმოების საერთაშორისო სტანდარტები - ბიონარმოების მოძრაობის საერთაშორისო ფედერაციის (IFOAM-ის) სტანდარტი⁶ და Codex Alimentarius-ის მიერ მიღებული სტანდარტი GL32⁷ - მნიშვნელოვან საერთაშორისო ნორმატიულ საფუძვლად ითვლება.

ასევე არსებობს საერთაშორისოდ აღიარებული კერძო სტანდარტებიც, როგორცაა მაგალითად, Demeter-ის ბიოდინამიკური წარმოების სტანდარტი, რომლის მოთხოვნებიც ევროკავშირის კანონმდებლობაზე უფრო მკაცრია.

განვითარებულ ბიობაზრებზე განსაკუთრებულად დიდ მნიშვნელობას ანიჭებენ ბიოპროდუქტების სერტიფიცირების სისტემას, რომელიც მოიცავს სპეციალურ ინსპექტირებას და სერტიფიცირებას. ეს სისტემა იყენებს როგორც სამართლებრივ ნორმებს, რომლებიც აწესებენ აუცილებელ პირობებს სახელმწიფო რეგულირების ფარგლებში, ასევე ცალკეულ სტანდარტებს, რომლებიც გახლავთ ნებაყოფლობითი შეთანხმებები - მომხმარებელსა და მწარმოებელს შორის მიღწეული კონსენსუსის შედეგები. აქედან გამომდინარე, გარანტიის სისტემა (სერტიფიცირება, ინსპექტირება და მარკირება) უზრუნველყოფს ბიოპროდუქტების წარმოების პროცესის შესაბამისობას სტანდარტებთან - დაწყებული სასოფლო-სამეურნეო წარმოებიდან, მომხმარებლისთვის მიწოდების ჩათვლით. ამჟამად სერტიფიცირების პროცესებში ჭარბობს საკანონმდებლო ნორმების სტანდარტებით ჩანაცვლების ტენდენციები იმის გამო, რომ ისინი უფრო მარტივი არიან და იოლად ექვემდებარებიან ჰარმონიზაციას.

დიდ როლს სახელმწიფოთაშორისო სტანდარტების ფორმირებაში ასრულებს IFOAM-ი, რომელიც აერთიანებს 100 ქვეყნის 700-მდე აქტიურ წევრ ორგანიზაციას. 1980 წელს მის მიერ იყო ფორმულირებული "IFOAM-ის საბაზისო სტანდარტები ბიოპროდუქტების წარმოებასა და გადამამუშავების შესახებ", ხოლო შემდგომ დაიწყო მასერტიფიცირებელი ორგანიზაციების შეფასება საბაზისო სტანდარტების შესრულების თაობაზე, რისთვისაც გამოიყენება მის მიერ შექმნილი "IFOAM-ის სააკრედიტაციო კრიტერიუმები".

თუმცა IFOAM-ის სტანდარტებსა და სააკრედიტაციო კრიტერიუმებს არ გააჩნიათ საკანონმდებლო ძალა და დღეისათვის ბიოპროდუქტების სერტიფიცირება ხორციელდება სარეალიზაციო ბაზრების შესაბამისად.

მსოფლიოს ძირითად რეგულაციებად და მოთხოვნებად შეიძლება ჩაითვალოს:

• EC 834/2007, EC 889/2008 - ევროკავშირის რეგულაციები ბიოპროდუქტების ბაზრისათვის;

• National Organic Program (NOP) - აშშ-ის მარეგულირებელი პროგრამა ბიოპროდუქტების ბაზრისათვის;

• Japanese Agricultural Standard (JAS) - იაპონიის სტანდარტი ბიოპროდუქტების ბაზრისათვის.

ექსპორტის ყველაზე მნიშვნელოვანი ნორმატიული აქტები და სტანდარტებია:

• ბიონარმოების მოძრაობის საერთაშორისო ფედერაციის (IFOAM) სტანდარტი;

• ევრორეგულაცია 834/2007 „ბიონარმოებისა და ბიოპროდუქტების ეტიკეტირების შესახებ“⁸;

• ევრორეგულაცია 889/2008 „ევროკავშირის რეგულაცია 834/2007-ის იმპლემენტაციის დეტალური წესების განსაზღვრის შესახებ ბიოპროდუქციის წარმოების, ეტიკეტირებისა და კონტროლის კუთხით“;

• ევრორეგულაცია 1235/2008 „ევროკავშირის რეგულაცია 834/2007-ის იმპლემენტაციის დეტალური წესების განსაზღვრის შესახებ ბიოპროდუქციის მესამე ქვეყნებიდან იმპორტის კუთხით“;

• BIO-Suisse სტანდარტი⁹;

• აშშ-ის სახელმწიფო სტანდარტი - USDA ეროვნული ორგანული პროგრამა (NOP);¹⁰

• იაპონიის ბიოსტანდარტი და ტექნიკური კრიტერიუმები (JAS);¹¹

• ჩინეთის ეროვნული ბიოსტანდარტი GB/T 19630-2011.¹²

5 <https://www.organic-world.net/yearbook/yearbook-2017.html>

6 https://www.ifoam.bio/sites/default/files/ifoam_norms_july_2014_t.pdf

7 http://www.fao.org/input/download/standards/360/cxg_032e.pdf

8 <https://eur-lex.europa.eu/legal-content/EN/TXT/PDF/?uri=CELEX:32007R0834&from=EN>

9 <https://www.bio-suisse.ch/en/downloads.php>

10 <https://www.ams.usda.gov/rules-regulations/organic>

11 http://www.maff.go.jp/e/policies/standard/jas/specific/criteria_o.html

12 <http://www.biocertinternational.com/uploads/GB19630-2011-4.pdf>

უნდა აღინიშნოს, რომ ევროკავშირმა 2018 წელს მიიღო ბიონარმოების ახალი რეგულაცია (2018/848),¹³ რომელიც ძალაში შევიდა 2021 წელს, ხოლო 2019 და 2020 წლებში იგეგმება ამ რეგულაციის დანერგვის მიზნით დეტალური კანონქვემდებარე აქტების მიღება.

ბიონარმოების სფეროში არსებული ყველა ძირითადი სტანდარტი და რეგულაცია ერთსა და იმავე პრინციპებს ეფუძნება და მათ შორის არსებული განსხვავებები, როგორც წესი, ტექნიკურ ხასიათს ატარებს, რაც განპირობებულია კონკრეტულ ქვეყნებში გავრცელებული სამეურნეო სისტემებით, კლიმატით, სოციალური ღირებულებებით და საბაზრო რეგულაციებით. მაგალითად, აშშ უშვებს ვაშლისა და მსხლის ბაღებში ტეტრაციკლინისა და სტრეპტომიცინის გამოყენებას, რაც არ არის დაშვებული ევროკავშირის მიერ, ხოლო ევროკავშირი უშვებს ცხოველების ანტიბიოტიკებით მკურნალობას, რაც აშშ-ის რეგულაციებით აკრძალულია. ამასთან ორივე კანონმდებლობა უშვებს ე.წ. პარალელურ ნარმოებას, რაც გულისხმობს ერთი და იგივე მეურნეობაში სხვადასხვა პროდუქტების ნარმოებას ერთდროულად ბიო- და კონვენციური სისტემით, მაშინ, როცა შვეიცარია მოითხოვს, რომ მეურნეობა მთლიანად იყოს სერტიფიცირებული.

ჩინეთისა და იაპონიის სტანდარტებიც დაახლოებით ასეთი ტექნიკური თავისებურებებით ხასიათდება, თუმცა ზოგიერთი მიმართულებით უფრო მკაცრია. ზოგადად ჩინეთის ბიოსტანდარტი მსოფლიოში ერთ-ერთ ყველაზე მკაცრ სტანდარტად ითვლება. მნიშვნელოვანია, რომ სხვადასხვა სტანდარტს ბიონარმოებაზე გადასვლისათვის (კონვერსიისათვის) შესაძლოა სხვადასხვა პერიოდი ჰქონდეს დაწესებული.

ზოგადად, ბიონარმოების რეგულირება მოიცავს შემდეგ ძირითად საკითხებს:

- ▶ ნარმოების (ტექნიკური) სტანდარტები და კონვერსიის, ანუ გარდამავალი პერიოდი;
- ▶ ნიშანდება;
- ▶ კონტროლი: ა) შესაბამისობის შეფასება (სერტიფიცირება, აკრედიტაცია), ბ) რეგისტრაცია, გ) ანგარიშვალდებულება;
- ▶ იმპორტი;
- ▶ კანონმდებლობის დანერგვა.

ყველა ძირითად ბაზარს ბიოპროდუქციის იმპორტის მკაცრი წესები აქვს. მაგალითად, ევროკავშირი, აშშ და იაპონია ბიოპროდუქციის იმპორტს უშვებენ მხოლოდ იმ შემთხვევაში, თუ ამ პროდუქციის სერტიფიცირება მოხდა „კომპეტენტური ორგანოს“ მიერ აკრედიტებული სერტიფიცირების ორგანოს მიერ, რაც გულისხმობს ამ სერტიფიცირების ორგანოს „შესაბამისობას“ ანუ „ეკვივალენტურობას“, რაც შეიძლება მოხდეს:

1. ექსპორტისა და იმპორტის ქვეყნებს შორის დადებული ორმხრივი ხელშეკრულებით ბიონარმოების სერტიფიცირე-

ბის სისტემების ურთიერთალიარების შესახებ;

2. იმპორტიორი ქვეყნის მიერ ექსპორტიორის სერტიფიცირების ორგანოს პირდაპირი ალიარებით.

რაც შეეხება ჩინეთს, აქ სერტიფიცირება შეიძლება მოახდინოს მხოლოდ ჩინეთის სახალხო რესპუბლიკის სერტიფიცირებისა და აკრედიტაციის ადმინისტრაციის მიერ აკრედიტებულმა სერტიფიცირების ორგანომ. თუმცა, ჩინეთმა და უკრაინამ ხელი მოაწერეს ხელშეკრულებას ერთმანეთის ბიოსერტიფიკატების ალიარების შესახებ.¹⁴

აშშ-ს ურთიერთალიარების ხელშეკრულებები აქვს ევროკავშირთან, იაპონიასთან, სამხრეთ კორეასთან და შვეიცარიასთან. ასევე ალიარებს ინდოეთს, ახალი ზელანდიისა და ისრაელის აკრედიტაციის სისტემებს იმ პირობით, რომ მათ მიერ აკრედიტებული სერტიფიცირების ორგანოები სერტიფიცირებას მოახდენენ NOP სტანდარტის შესაბამისად.

ევროკავშირის ურთიერთალიარების ხელშეკრულებები აქვს 13 ქვეყანასთან: არგენტინა, ავსტრალია, კანადა, ჩილე, კოსტა-რიკა, ინდოეთი, ისრაელი, იაპონია, ახალი ზელანდია, კორეა, შვეიცარია, ტუნისი და აშშ.

იმ შემთხვევაში, თუ ევროკავშირში ან აშშ-ში იმპორტის მსურველ ქვეყანას არ აქვს ურთიერთალიარების ხელშეკრულება, შესაძლებელია მათი პროდუქტების სერტიფიცირება მოახდინონ ისეთმა სერტიფიცირების ორგანოებმა, რომლებიც ალიარებულია ამ ქვეყნების მიერ.

ამჟამად აშშ საქართველოში არსებულ არცერთ სერტიფიცირების ორგანოს არ ალიარებს, ხოლო ევროკავშირი იმპორტის მიზნებით საქართველოში ბიოსერტიფიცირების უფლებას აძლევს მხოლოდ 10 სერტიფიცირების ორგანოს (იხ. დანართი 6), რომელთაგან ქართული მხოლოდ ერთია - შპს „კავკასსერტი“.

შპს „კავკასსერტი“ დაარსდა 2005 წელს და იყენებს „გრინ კაუკაზუსის“ ბიოსტანდარტსა და სერტიფიცირებისა და ხარისხის მართვის სისტემას, რომელიც 2008 წლის იანვრიდან აკრედიტებულია გერმანიის აკრედიტაციის ორგანოს - Deutsche Akkreditierungsstelle GmbH (DakkS)-ის მიერ. ამ აკრედიტაციის მეშვეობით, შპს კავკასსერტმა ევროკომისიისგან მოიპოვა უფლება ევროკავშირის TRACES (Trade Control and Expert System) სისტემაში დაარეგისტრიროს თავისი კლიენტები და გამოუწეროს მათ იმპორტის ინსპექტირების ელექტრონული სერტიფიკატი.

რაც შეეხება ბიონარმოების რეგულირების ისტორიას საქართველოში, ბიონარმოების კანონმდებლობის შექმნის

13 <https://www.ifoam-eu.org/en/organic-regulations/list-eu-organic-regulations>

14 <https://www.slideshare.net/Adrienna/china-organic-certification-2014>

https://www.slideshare.net/EchoCao1/organic-certification-comparative-analysis-of-china-eu-and-us-regulations?next_slideshow=1

პირველი მცდელობები ჯერ კიდევ 2002 წელს დაიწყო. 2006 წელს მიღებულ იქნა და 2007 წელს შევიდა ძალაში საქართველოს კანონი „ბიოლოგიური აგრონარმოების განხორციელების შესახებ“, საქართველოს ეროვნული სტანდარტი „ბიოპროდუქციის ძირითადი მოთხოვნები და წარმოების წესები“ სსტ 86:2007 და საქართველოს სოფლის მეურნეობის მინისტრის ბრძანება „ბიონარმოებაში დაშვებული ნივთიერებების ნუსხის შესახებ“. აღნიშნული კანონის ძირითად პრობლემას წარმოადგენდა ის, რომ ბიოპროდუქციის ნიშანდების შესახებ მუხლი ძალაში არ შესულა. 2010 წელს ეს კანონი გაუქმდა სურსათის სფეროში მიმდინარე საკანონმდებლო რეფორმის ფარგლებში.

2012 წელს საქართველოს პარლამენტის მიერ მიღებულმა „სურსათის/ცხოველის საკვების უვნებლობის, ვეტერინარიისა და მცენარეთა დაცვის კოდექსმა“, ბიონარმოების ცნება კვლავ შემოიტანა საქართველოს კანონმდებლობაში და განსაზღვრა, რომ „ბიონარმოება არის მეურნეობის მართვის ერთიანი სისტემა წარმოების ისეთი მეთოდების გამოყენებით, რომლებიც უზრუნველყოფს ბიომრავალფეროვნებისა და ეკოლოგიური ბალანსის შენარჩუნებას, გარემოს დაცვას, ბუნებრივი რესურსების ეფექტიან გამოყენებას, შეესაბამება ბიონარმოების წესით დადგენილ მოთხოვნებს წარმოების, გადამამუშავების, შენახვის, შეფუთვის, ტრანსპორტირების, ეტიკეტირების/ნიშანდების, დისტრიბუციისა და რეალიზაციის ეტაპებზე და ეს შესაბამისობა დადასტურებულია შესაბამისობის სერტიფიკატით“. ამავე კანონის მე-18 მუხლის მე-3 პუნქტით განისაზღვრა, რომ „დაუშვებელია სურსათის/ცხოველის საკვების ეტიკეტზე ან თანდართულ დოკუმენტში ტერმინების – „ბიოლოგიური“, „ეკოლოგიური“, „ეკო“, „ბიო“, „ორგანული“ – ნებისმიერი კომბინაციის მითითება, თუ იგი არ შეესაბამება საქართველოს მთავრობის მიერ დადგენილ ბიონარმოების წესს და ეს შესაბამისობა არ დასტურდება შესაბამისობის სერტიფიკატით“. ეს წესი ძალაში შევიდა 2014 წლის 1 აგვისტოს.

2013 წელს საქართველოს მთავრობამ მიიღო დადგენილება „ბიონარმოების შესახებ“, რომელიც ემყარება ევროკავშირის შესაბამის კანონმდებლობას და ადგენს დეტალურ წესებს ბიონარმოებისათვის. აღნიშნული დადგენილება ძალაში შევიდა 2014 წლის პირველ იანვარს.

ბიონარმოების რეგულირების მიმართულებით ამჟამად შემდეგი ძირითადი საკითხები დგას დღის წესრიგში:

- ▶ საქართველოს აკრედიტაციის სისტემის აღიარება აშშ-სა და ევროკავშირის მიერ (ზოგადი პრობლემა და არ ეხება მხოლოდ ბიონარმოებას);
- ▶ ბიონარმოების სერტიფიცირების სისტემების ურთიერთ-აღიარების მიღწევა ევროკავშირთან (მაგ., DCFTA-ს ფარგლებში) და აშშ-სთან;
- ▶ „ბიონარმოების შესახებ“ საქართველოს მთავრობის დადგენილების გადახედვა ევროკავშირის განახლებული რეგულაციების მიხედვით;
- ▶ ბიონარმოების განვითარების ხელშეწყობისათვის ადგილობრივი ბაზრისათვის განკუთვნილი წარმოებებისათვის შედარებით უფრო მოქნილი გარდამავალი წესების დანერგვა (მაგ., ცხოველის საკვების წარმომავლობასთან დაკავშირებით).

ბიონარმოების საკითხებზე მომუშავე მთავარი სახელმწიფო ორგანიზაცია საქართველოს გარემოს დაცვისა და სოფლის მეურნეობის სამინისტრო, რომელიც აქტიურად თანამშრომლობს არასამთავრობო და კერძო სექტორებთან და საერთაშორისო ორგანიზაციებთან.¹⁵ სამინისტრო მუშაობს როგორც კანონმდებლობისა და პოლიტიკის შემუშავებაზე, ასევე პარლამენტისა თუ მთავრობის მიერ მათი დამტკიცების საფუძველზე, უზრუნველყოფს მათ აღსრულებას.

დღეისათვის ბიონარმოების მიმართულებით სახელმწიფოს და სამინისტროს კონკრეტული საქმიანობა არსებითად ეფუძნება საქართველოს მთავრობის 2013 წლის #198 დადგენილებას „ბიონარმოების შესახებ“ და საქართველოს სოფლის მეურნეობის განვითარების სტრატეგია 2015–2020 წწ.¹⁶ სტრატეგიაში ბიონარმოება მოიხსენიება გარემოსა და ბიომრავალფეროვნების სტრატეგიული მიმართულების ფარგლებში (კერძოდ, ღონისძიება 3.7.1-ში).¹⁷

ამჟამად სახელმწიფო იწყებს მნიშვნელოვან კომპლექსურ ხუთწლიან 0,5 მლნ ბიუჯეტის მქონე პროგრამას ორგანული პროდუქციის წარმოების და სერტიფიცირების ხელშეწყობის კუთხით, რაც საქართველოს პრემიერ-მინისტრის „მწვანე ეკონომიკური პოლიტიკის“ ინიციატივის ნაწილია. ეს გული-სხმობს როგორც თანადაფინანსებას და საგადასახადო შეღავათებს პირველადი თუ გადამამუშავებელი მწარმოებლებისთვის, ისე სერტიფიცირების პროცესსა და ცოდნის მიღებაში დახმარებას. პროგრამის მომზადებაში ჩართულია ყველა დაინტერესებული მხარე. ის, სავარაუდოდ, სამინისტროს დაქვემდებარებულმა ა(ა)იპ სოფლის მეურნეობის პროექტების მართვის სააგენტომ უნდა განახორციელოს. ახალი ინიციატივა გახდება „ერთიანი აგროპროექტის“ პროგრამის ნაწილი.¹⁸

თუმცა, ეს მომავალი პროგრამა არაა გათვლილი ევროსტანდარტებთან ადგილობრივი ბიონარმოების შესაბამისობაში მოყვანის ხელშეწყობაზე, რადგან ამას ცალკე ბიუჯეტი სჭირდება.

გარდა ამ მიზნობრივი პროგრამისა, ბოლო წლებში მოქმედებდა ჩაის პლანტაციების რეაბილიტაციის პროგრამაც, რომელიც ბიონარმოების ხელშეწყობასაც მოიცავდა. თუმცა ეს პროგრამა 2018 წელს შეჩერდა.

15 <http://apma.ge/news/view/159/>

16 <http://www.moa.gov.ge/Download/Files/226>

17 „პირველადი და გადამამუშავებელი საწარმოების ღონისძიებები“

განხორციელებდა ბიომრავალფეროვნების ხელშეწყობის ღონისძიებები“, გვ. 35, ღონისძიება 3.7.1, სტრ. მიმართულება 3.7, საქართველოს სოფლის მეურნეობის განვითარების სტრატეგია 2015–2020 წწ.

18 იხ. სოფლის მეურნეობის სამინისტროს ანგარიშის ნაწილი: <https://kalo.ge/news/view?id=5410>

სამინისტროს ერთი-ერთი მთავარი სტრუქტურა, რომელიც ბიონარმობასთან უშუალო შეხებაშია, არის სსიპ სოფლის მეურნეობის სამეცნიერო-კვლევითი ცენტრი. ცენტრის ერთ-ერთი მიზანია ბიოაგრონარმობის განვითარება, ეკო-და ბიოპროდუქციის წარმოების ხელშეწყობა და მათი საერთაშორისო სტანდარტებთან ჰარმონიზაცია. ამ ფუნქციას ცენტრი ასრულებს 2014 წელს ჩამოყალიბებული ბიოაგრონარმობის სამსახურის მეშვეობით. 2016 წლიდან სამსახური მცირე ბიუჯეტის ფარგლებში აწარმოებს რეგულარულ სასწავლო ტრენინგებს ბიოაგრონარმობის საკითხებზე, მათ შორის მუნიციპალიტეტებში მოქმედი ფერმერთა საინფორმაციო საკონსულტაციო ცენტრების თანამშრომლებისათვის, ასევე კვლევებსა და სხვა ბიოლოგისტიკებს: „ბიოპრეპარატების ეფექტურობა ერთწლოვან და მრავალწლოვან კულტურებზე“, „ადგილობრივი კობრის სელექცია და ტბორის ბიომოდელის შექმნა“, „ალელოპათიისა და პესტიციდური აქტივობის მცენარეების გამოყენება ორგანულ სოფლის მეურნეობაში“ და ა.შ.

აღსანიშნავია, რომ წარმოების ხელშეწყობ სხვადასხვა სახელმწიფო პროგრამასა თუ ინიციატივა-ლონისძიებას ბიონარმობაზე სპეციალური ფოკუსი არ გააჩნია და ბიონარმობის მხარდაჭერა სხვა „არა-ბიო“ წარმოებების თანაბრად მოიაზრება. მაგალითად, პროგრამის - „ანარმეო საქართველოში“ - ფარგლებში, სხვა საწარმოებთან ერთად, დაფინანსდა ბიონარმობის მწარმოებელი ექსპორტიორი კომპანია¹⁹, ხოლო სოფლის მეურნეობის პროექტების მართვის სააგენტოს მიერ წარმოებულ „ერთიან აგროპროექტში“, სხვა მიმართულებების პარალელურად, გათვალისწინებულია ბიონარმობის (კერძოდ, ბიოსერტიფიცირების) ხელშეწყობაც²⁰ (აშშ-ის სამთავრობო ხელშეწყობით).

1.8. განათლება და კვლევები ბიონარმობაში

მოცემულ მომენტში აკადემიურ სფეროში არც ერთ უმაღლეს სასწავლებელს არ გააჩნია ცალკე პროგრამა ბიონარმობის სფეროში. თუმცა ეს არ ნიშნავს, რომ ზოგადად კვლევითი თუ აკადემიური მუშაობა ამ მიმართულებით არ მიმდინარეობს. ეს მუშაობა ან მიზნობრივი პროექტების ფარგლებში წარმოებს, ან შერეულადაა წარმოდგენილი სასწავლო პროგრამებში.

ამ მხრივ უნდა აღინიშნოს საქართველოს აგრარული უნივერსიტეტი, სადაც 2006 წელს დაარსდა ახალი სპეციალობა „ეკოლოგიური სოფლის მეურნეობა და ბუნების დაცვა“, რომელიც შემდგომ წლებში აქტიურად ჩაერთო კონვენციური და ეკოლოგიური სასოფლო-სამეურნეო წარმოების სისტემების განვითარებისკენ მიმართულ კვლევებში.

2009 წელს აგრარული უნივერსიტეტის, ელგანასა და მათი საერთაშორისო პარტნიორების ერთობლივი ძალისხმევით საქართველოში, პირველად ამიერკავკასიაში ჩატარდა საერთაშორისო ფორუმი - „ბიონარმობის სექტორის განვითარება ცენტრალური / აღმოსავლეთ ევროპისა და ცენტრალური აზიის ქვეყნებში“²¹, რომელსაც 22 ქვეყნის 200 დელეგატი ესწრებოდა.

აგრარულმა უნივერსიტეტმა 2017 წელს „ელგანასთან“ თანამშრომლობით გამოსცა სახელმძღვანელო „ორგანული სოფლის მეურნეობა“. ამასთან ეს უნივერსიტეტი ფოლკსკაგენისა და შოთა რუსთაველის ეროვნული სამეცნიერო ფონდების²² მხარდაჭერით აშემადა ახორციელებს სადოქტორო პროექტს „მდგრადი სოფლის მეურნეობა და სასურსათო სისტემები“²³ აღსანიშნავია, სოფლის მეურნეობის აკადემიის კვლევითი ღონისძიებები²⁴ და სალექციო კურსი ბათუმის უნივერსიტეტში²⁵ ფინანსური და ტექნიკური ბაზის სიმცირის გამო, უმაღლესი განათლების სფეროში ეს საკითხი უფრო თეორიულ და ზოგადსამეცნიერო პრობლემემატიკის ჭრილში გვხვდება, ვიდრე პრაქტიკული პრობლემემატიკისა და სისტემატური, მონიშნავს სამეცნიერო კვლევების ფორმატში. თუმცა დღეისათვის პოპულარულ სოფლის მეურნეობის მდგრადი განვითარების კონცეფციაში განუყოფელი ადგილი უკავია ბიომეურნეობებსა და ორგანულ მინათსარგებლობას. საქართველოში ბიონარმობა, როგორც კვალიფიკაცია, ჩასმულია 2019 წლის სახელმწიფო პროფესიულ საგანმანათლებლო სტანდარტებში (შესაბამისი სრულყოფილი მოდულებით)²⁶ და პროფესიული სპეციალიზაციების კატალოგში²⁷ მათი გავლის შემთხვევაში სტუდენტს ენიჭება მეხუთე საფეხურის პროფესიული კვალიფიკაცია ბიომეურნეობაში, ბიომეცენარის ან ბიომეცხოველის მიმართულებით. თუმცა, აღსანიშნავია სწავლების ტექნიკური ბაზის სიმცირისა და სწავლებისათვის საჭირო პროფესიონალი კადრების სიმცირის პრობლემები. პროგრამული სწავლების გარდა, ზოგიერთი აგრარული პროფგადამზადების დაწესებულება ცდილობს ბიონარმობასაც მიაქციოს ყურადღება და იწვევს შესაბამის სპეციალისტებს ბიონარმობის ამა თუ იმ საკითხზე ლექციების წასაკითხად²⁸. თუმცა სისტემატური ხასიათის ასეთი მცდელობები, ცხადია, ვერ იქნება.

ზოგადად ისიც უნდა ითქვას, რომ ქართველი პრაქტიკოსები და მეცნიერები აქტიურად მონაწილეობენ ყოველწლიურ მსოფლიო გამოფენა-სემინარზე ქალაქ ნიურნბერგში (Biofach)²⁹ უნივერსიტეტის სტუდენტები რეგულარულად გადაიან სტაჟირებას სამღვარგარეთ (გერმანია, პოლონეთი).

19 <https://bit.ly/2UaeNZV>

20 <http://apma.ge/news/view/220>

21 <https://bit.ly/2F2HXDX>

22 <http://expressnews.com.ge/?id=74047>

23 A lecture on organic farming was delivered at Sartichala Branch of Farmers School,

10.10.2017, <https://bit.ly/2TkKZfK>

24 The multi-year hazelnut market system development project - Organic hazelnut value chain creates income and decent employment in Western Georgia - involving DANIDA, HEKS-EP-ER, ADA, ANKA, PAKKA, ELKANA.

25 <http://agruni.edu.ge/sites/default/files/u113/SAFS.docx>

26 <https://bit.ly/2VrpnM3>

27 https://lib.bsu.edu.ge/e-books/book_305.pdf

28 „ფერმერთა სკოლის“ სართიჭალის ფილიალში ჩატარდა ლექცია ორგანული მინათმეცენარის შესახებ, 10.10.2017, <https://bit.ly/2TkKZfK>

29 <https://bit.ly/2ExeYZL>

1.1. ბიონარმოების საშუალებების მომწოდებლები

ბიონარმოების საშუალებების (organic inputs) მწარმოებელთა შორის მოცემული კვლევისთვის ავტორები მნიშვნელოვნად თვლიან ბიოსასუქებისა და ბიოპესტიციდების მწარმოებლებზე ფოკუსირებას.

ადგილობრივად წარმოებული ბიოსასუქებისა და ბიოპესტიციდების არჩევანზე უბრალო თვალის გადავლენითაც კი აშკარად შეიმჩნევა მათი სიმწირე, რაც ბიოსასუქების მწარმოების თავისებურებებსა და ასევე ამ დარგის სინორჩეს უკავშირდება. ამ ვითარებას თავის დაღს ასვამს ის გარემოება, რომ ბიოსასუქების მწარმოებლებს უნევთ მათი ინოვაციური პროდუქტების როგორც რეგისტრაცია, ისე სერტიფიცირება. მაშინ, როცა ჩვეულებრივი აგროსასუქების შემთხვევაში მათი მხოლოდ რეგისტრაცია ხდება. რეგისტრაცია ექსპერტიზის და რამდენიმე საფეხურიანი, ძვირად ღირებული პროცესია, ხოლო სერტიფიცირება - ხანგრძლივი (ჩვეულებრივ - 3 წელი) და ძვირად ღირებული ეტაპობრივი პროცედურა. ამის შედეგია ის, რომ დღეისათვის საქართველოში სახეზეა შემოტანილი იმპორტული ბიოსასუქების მინიმალური არჩევანი, მაგრამ ყველა მათგანი ძვირია, ხოლო ადგილობრივი ალტერნატივა ძალიან მწირია აღნიშნული ფორმალუბების გამო.

ბიოსასუქებისა და ბიოპესტიციდების მოხმარების მასშტაბის დადგენა ძნელია და მოცემული კვლევის საგანს არ წარმოადგენს, თუმცა არაპირდაპირი გზით მიახლოებითი წარმოდგენის შექმნა მაინც შესაძლებელია სხვადასხვა პროდუქტის ბიომწარმოებელთა რაოდენობების შესწავლით. „ელკანას“ მიერ ISET-საშუალებით ჩატარებულმა კვლევამ აჩვენა, რომ ბიოსასუქებისა და ბიოპესტიციდების გაყიდვების დაახლოებით ნახევარი ბიონარმოებაში ჩართულ მეთხილეებზე მოდის.³⁰ მათ რაოდენობა კი დღეისათვის 600-ზე მეტია.

საქართველოს ბაზარზე მოქმედი ბიოსასუქებისა და ბიოპესტიციდების გამსაღებელი კომპანიები რამდენიმე ჯგუფად შეიძლება დაიყოს:

- ▶ ბიოჰუმუსის (ვერმიკომპოსტის) ადგილობრივი მწარმოებლები;
- ▶ სხვა ბიოსასუქებისა და ნიადაგის დანამატების/სუბსტრატების ადგილობრივი მწარმოებლები;
- ▶ ბიოპესტიციდების ადგილობრივი მწარმოებლები;
- ▶ ბიოსასუქებისა და ბიოპესტიციდების იმპორტიორები/გამყიდველები.

ბიოჰუმუსის ადგილობრივი მწარმოებლები

საქართველოს ნიადაგებში, მაგალითად, შავმიწა ნიადაგებში უკანასკნელი 300 წლის განმავლობაში ჰუმუსისა და საერთო აზოტის შემცველობა შესაბამისად 27% და 28%-ით შემცირდა.³¹ მინერალური სასუქებით გატაცებამ წლების მანძილზე დააკნინა ორგანული სასუქების გამოყენება. ბოლო წლებში

მსოფლიოში პოპულარული გახდა ნიადაგის გამანოყიერებელი კონცენტრირებული ორგანული დანამატი ბიოჰუმუსი (იგივე ვერმიკომპოსტი) - წითელი კალიფორნიული ჭიაცხების (*Eisenia foetida*) მიერ ნაკელისა და სხვა ორგანული ნარჩენების ფერმენტული გადამუშავებით მიღებული საკვები ნივთიერებებით (ვიტამინები, ანტიბიოტიკები, ამინომჟავები, სასარგებლო მიკროფლორა) მდიდარი მასა. ბიოჰუმუსის პოპულარობა განპირობებულია მისი დიდი ეფექტიანობით, რასაც ნაკელი ვერასოდეს მიაღწევს. მაგალითად, პომიდვრის მოსავლიანობა იზრდება საშუალოდ 25%-ით, კომბოსტოსი - 27, საადრეო კარტოფილის - 22, სასილოსე სიმინდის - 30-ით. საქართველოში ბიოჰუმუსის წარმოება გასულ ათწლეულებში მხოლოდ ცალკეული ვერძო ინიციატივისა თუ ღონისძიების³² სახით თუ იყო წარმოდგენილი და ობიექტური თუ სუბიექტური მიზეზების გამო რაიმე საგრძნობი მასშტაბისთვის დღემდე არ მიუღწევია.

საქართველოს კანონმდებლობით, ბიოჰუმუსი, როგორც სხვა სასუქი, რეგისტრაციას ექვემდებარება. დღეისათვის საქართველოში ბიოჰუმუსის ადგილობრივი მწარმოებლები არიან როგორც კომპანიები, ისე ინდივიდუალური ფერმერები თუ მკვლევრები. მათი რაოდენობა მცირეა. კომპანიებიდან აღსანიშნავია ქვემო ქართლის რეგიონში 2010 წლიდან მოქმედი შპს მაკრო-პრაიმი,³³ რომელიც თხევად კონცენტრირებულ ბიოჰუმუსს აწარმოებს. სხვა რეგისტრირებული ადგილობრივი ბიოჰუმუსებიდან³⁴ აღსანიშნავია შპს „ეკოლოგიუმისა“ და შპს „ბიო ეკო განვითარების ცენტრის“ მიერ წარმოებული ვერმიკულტურა (ბიოჰუმუსი) და ასევე შპს „მევ სანაი ვე თიჭარეთის“ (Mev Sanayi Ve Ticaret)³⁵ საქმიანობა.

ბიოჰუმუსზე მოთხოვნის ზრდაზე და შესაბამისად მისი წარმოების პერსპექტივაზე მეგავლენას მრავალი ფაქტორი ახდენს, რომელთა შესახებ წინამდებარე დოკუმენტის I.თ. სექციაშია საუბარი. აქ კი უნდა აღინიშნოს ფერმერებისთვის ბიოჰუმუსის წარმოების პრაქტიკული ტრენინგის მიღების ფასიანი თუ უფასო შესაძლებლობები. მაგალითად, ევროკავშირის დაფინანსებით იმერეთის რეგიონში აგრობიზნესის ხელშეწყობის პროექტის - „საქართველოში აგრობიზნესის ფორმალური და არაფორმალური პროფესიული

30 Study on Private Service Providers in Organic Hazelnut Value Chain in Georgia (2018): <http://iset-pi.ge/index.php/en/agricultural-projects/completed-projects/2144-study-on-private-service-providers-in-organic-hazelnut-value-chain-in-georgia>

31 ბიოჰუმუსის წარმოების მდგომარეობა და პერსპექტივები საქართველოში. სმმ აკადემიის მაცნე, გვ. 1, # 1 (44), მარტი, 2012 წ. http://www.gaas.dsl.ge/pdf/macne/Ak_Macne_1-2012.pdf

32 <http://www.mercycorps.ge/index.php/ongoing-projects/completed-projects/16-eu-cca/16-eu-cca-media-pg1>

33 <http://biogumus.ge>

34 <https://matsne.gov.ge/ka/document/view/3352507?publication=0>

35 ამ კომპანიამ 2015 წელს აჭარის არ-ის მთავრობასთან გაფორმებული ხელშეკრულებით სამთავრობო ქვეპროგრამის - „ფერმერულ მეურნეობებში სასაბურე ტექნოლოგიების დანერგვის გზით მარწყვის კულტურის წარმოების განვითარების ხელშეწყობა“ - ფარგლებში დამკვეთს ფერმერებისთვის 12 ტონა ბიოჰუმუსი მიაწოდა: <http://adjara.gov.ge/uploads/Docs/e99fac502f0e45dbdb58ee9e1dc9.doc>

განათლების განვითარება“ (2015-2017) - იმერეთის რეგიონში 73 ფერმერს ჩაუტარდა ტრენინგი ბიოჰუმუსის წარმოების საკითხებზე. ამავე საკითხზე³⁶ ტრენინგებს ფერმერებს სთავაზობს მაგალითად არასამთავრობო ორგანიზაცია „პროფესიული სწავლებისა და ტრენინგების ცენტრი“.³⁷ თუმცა, სხვა საკითხია, ფერმერების ინფორმირებულობა ბიოჰუმუსის არსისა და მისი წარმოების შესაძლებლობების შესწავლის შესახებ. მაგალითად, ევროკავშირის დახმარებით 2018 წლის გაზაფხულზე ქვემო ქართლის რეგიონში ჩატარებულმა ფერმერთა კვლევამ³⁸ აჩვენა, რომ გამოკითხულთა აბსოლუტური უმრავლესობა (87%) ქიმიურ სასუქს იყენებს, ხოლო ბიოჰუმუსის შესახებ მცირედს (24%) - ისიც მსხვილ მწარმოებლებსა და მესათბურეებს - თუ სემინა.

სხვა ბიოსასუქებისა და ნიადაგის დანამატების/სუბსტრატების ადგილობრივი მწარმოებლები

რაც შეეხება სხვა ბიოსასუქებს, უნდა აღინიშნოს მათი ადგილობრივი მწარმოებლები კომპანიები შპს „ჯეოფერტი“ და შპს „ბიოაგრო“:

- ▶ შპს „ჯეოფერტი“ ერთდროულად სამ ორგანომინერალურ ბიოსასუქს აწარმოებს - „ჯეოჰუმუს“, „ბექტოფერტს“ და „ცეოლიტს“, რომლებიც ექსპორტზეც გააქვს ისეთ ქვეყნებში, როგორცაა გერმანია, ბულგარეთი, ყაზახეთი და ა.შ.³⁹ 2016 წელს გახსნილი ქარხნის მაქსიმალური წლიური წარმადობა 100 ათასი ტონაა;
- ▶ შპს „ბიოაგრო-მცენარეთა ბიოლოგიური დაცვის ცენტრი“ კი ადგილობრივ მომხმარებელს სთავაზობს უნიკალურ თხევად ბიოსასუქს „ორგანიკას“, ერთდერტ ბიოსერტიფიცირებულ სასუქს საქართველოში. იგი დაშვებულია, როგორც ეკოლოგიურად სუფთა პროდუქტი საქართველოშიც და ევროკავშირშიც.⁴⁰

ეს კომპანიები თავის პროდუქციას ასაღებენ როგორც თბილისში, ისე რეგიონებში. საკუთარი პროდუქციის წარმოებისა და გაყიდვების ზრდისთვის ისინი ხშირად დადიან ფერმერებთან და უტარებენ პრაქტიკულ ტრენინგებს. როდესაც ამ კომპანიების თანამშრომლები ბიოპროდუქციას ყიდიან, ისინი ფერმერებს მათივე სავარგულებამდე მიჰყვებიან, ადგილზე სწავლობენ სიტუაციას, აზუსტებენ საჭიროებებს და შესაბამის რჩევებს აძლევენ ფერმერებს.⁴¹

ნიადაგის ისეთი ბუნებრივი დანამატებსა თუ სუბსტრატებს, როგორცაა ტორფი და პერლიტი, საქართველოში ადგილო-

ბრივად აწარმოებს წალკის მუნიციპალიტეტში (სამცხე-ჯავახეთი) მოქმედი შპს „საქართველოს პერლიტის ჯგუფი“. ეს კომპანია ძირითადად სამშენებლო პროდუქტებს აწარმოებს, თუმცა ამის პარალელურად ფერმერებს სთავაზობს ბიოპერლიტის სასუქს⁴² და აგროპერლიტის ხელოვნურ სუბსტრატს (რომელიც კიდევ უფრო ეფექტურია ტორფთან ნარევიში)⁴³ თვით ტორფი კი დასავლეთ საქართველოში, ძირითადად, ფოთთან და მალთაყვამი მოიპოვება. თუმცა, არც პერლიტი და არც ტორფი ჯერჯერობით ცალკე, სუბსტრატის სახით შესამჩნევი მასშტაბით არ გამოიყენება საქართველოს ბიოწარმოებაში.

ბიოპესტიციდების ადგილობრივი მწარმოებლები

ბიოპესტიციდების ადგილობრივი მწარმოებლიდან აღსანიშნავია როგორც მცენარეული, ისე მიკრობიოლოგიური პრეპარატების შემქმნელი კომპანიები:

- ▶ შპს ბიოაგრო (მანამდე მოვიხსენიეთ როგორც ბიოსასუქის მწარმოებელი), რომელიც 3 ბიოინსექტიციდს⁴⁴ და 3 ბიოფუნგიციდს⁴⁵ აწარმოებს;
- ▶ შპს „მცენარეთა ბიოლოგიური კონტროლი საქართველოში“, რომელმაც ახლახანს დაარეგისტრირა ჯეო-ნემა, როგორც *Steinernema feltiae* ნემატოდებით კარტოფილის კოლორადოს ხოჭოს მანიფიცირებელი საშუალება;⁴⁶⁻⁴⁷
- ▶ შპს „ტესტ ლაბორატორია“⁴⁸, რომელიც სამედიცინო, აგროლოგიური და სხვა მიმართულებებით მუშაობს და მცენარეთა მავნებლების წინააღმდეგ შემუშავებული აქვს მიკრობიოლოგიური და სხვა ბიოლოგიური პრეპარატები.

მოგადად ბიოპესტიციდების ეფექტურობასთან დაკავშირებით განსხვავებული ვითარებაა ქვეყნის შიგნით და გარეთ. ადგილობრივი წარმოება ახალი ჩამოყალიბებულია და მუდმივი დახვეწის პროცესშია, ამ მომენტში ძნელია იმის თქმა, რომ ესა თუ ის ბიოპესტიციდი, მიუხედავად წარმოშობის ქვეყნისა, სამიზნე დაავადებებს აბსოლუტური წარმატებით ებრძვის. ფაროსანას მიერ 2017-2018 წლებში დასავლეთ საქართველოს მემცენარეობისთვის და განსაკუთრებით მეხილეობა-მეთხილეობისთვის მიყენებულმა სერიოზულმა ზიანმა ცხადყო ადგილობრივი ბიოპესტიციდების შემდგომი სასწრაფო გაუმჯობესების საჭიროება. ამ საჭიროებას ამაგრებს როგორც ძალიან სწრაფად მზარდი მოთხოვნა, ასევე ისიც, რომ ფაროსანას წინააღმდეგ გამოყენებული იმპორტუ-

36 <https://bit.ly/2TRRpmS>

37 <https://www.vetc.info/trainig>

38 „მაღალხარისხიანი სასოფლო-სამეურნეო პროდუქციის წარმოებაში ორგანული სასუქების (ბიოჰუმუსი) გამოყენების პოტენციალის შესწავლა ქვემო ქართლის რეგიონში“, მცირე და საშუალო ბიზნესის გამოწვევები და განვითარების პერსპექტივები საქართველოს რეგიონებში; გვ. 144-147: https://www.eprc.ge/admin/editor/uploads/files/DCFTA%20for%20SMEs_web-min.pdf

39 <http://eugeorgia.info/ka/latestarticle/299/unikaluri-qartuli-sasuqebi-evropis-bazarze-wamatebit-iyideba>

40 <http://bioagro.ge/organika>

41 Study on Private Service Providers in Organic Hazelnut Value Chain in Georgia (2018): <http://iset-pi.ge/index.php/en/agricultural-projects/completed-projects/2144-study-on-private-service-providers-in-organic-hazelnut-value-chain-in-georgia>

42 <http://perlit.ge/perlite-bioperlite>

43 <http://perlit.ge/georgian-perlite-agroperlite>

44 <http://bioagro.ge/category/produqcia/biologiuri-insekticidebi>

45 <http://bioagro.ge/category/produqcia/biologiuri-fungicidebi>

46 <https://matsne.gov.ge/ka/document/download/3823023/0/1>

47 პრეპარატის გამოცდის სტატია, გვ. 51: agruuni.edu.ge/sites/default/files/u113/new_interactive_2016.compressed.pdf

48 <http://nanobio.ge>

ლი ბიოპესტიციდები შეიძლება უფრო მეტად ეფექტურია,⁴⁹ მაგრამ მაღალი ფასის გამო ნაკლებად ხელმისაწვდომია დაინტერესებულ ფერმერთა არსებითი ნაწილისთვის. დაბოლოს, აღსანიშნავია ისიც, რომ იმპორტული აგროსაშუალებების ფასებზე უარყოფითად მოქმედებს გაცვლითი კურსის ცვალებადობაც.

ბიოსასუქებისა და ბიოპესტიციდების იმპოზიციონები/ღისტიბუგოხები/ გამყიდველები

იმპორტულ ბიოსასუქებთან დაკავშირებით, პირველ რიგში უნდა აღინიშნოს 2018 წელს საქართველოში მცენარეთა დაცვის ბიოსაშუალებების მწარმოებელი წამყვანი ჰოლანდიური კომპანიის "კოპერტის" (Koppert Biological Systems) ფილიალის გახსნა.⁵⁰

საქართველოში არსებობს უშუალოდ ბიოსასუქების იმპორტზე მომუშავე ადგილობრივი კომპანია შპს „ბიოსერვისი“, რომელსაც ლატვიიდან შემოაქვს და ქ. თბილისში ყიდის ტორფზე და ტბის ლამზე დამზადებულ მცენარეთა ბუნებრივი კვების საშუალებებს.⁵¹⁻⁵²

გარდა ამისა, კომპანია „აბც დელივერი“ იყენებს აგრობიოპროდუქტების ონლაინ გაყიდვების პლატფორმას sps.ge-ზე, საიდანაც ყიდის ბიოპესტიციდებსა და ბიოსასუქებს.

იმპორტული ბიოსასუქების შემომტანი თუ გადამყიდველი სხვა ადგილობრივი კომპანიები ამ მიმართულებას ჩვეულებრივი სასუქებისა და პესტიციდების (და სხვა აგროსაშუალებების) გაყიდვების პარალელურად ახორციელებენ:

- ▶ გორში მდებარე შპს „აგრობესტი“ ყიდის რამდენიმე ბიოსასუქსა და ბიოპესტიციდს (მათ შორის ერთი ფაროსანას წინააღმდეგ გამოიყენება);⁵³
- ▶ შპს „კარტლისი“ ფაქტიურად ყველა რეგიონში არსებული საკუთარი სერვის-ცენტრიდან ყიდის ერთ ბიოსასუქსა და ერთ ბიოინსექტიციდს;⁵⁴
- ▶ აგროსადისტრიბუციო კომპანია შპს „ნობლექსი“, რომლის მალაზიები სახელწოდებით „აგროსფერო“⁵⁵ ფუნქციონირებს თბილისსა და კახეთში, რამდენიმე ბიოსასუქს ყიდის;
- ▶ თბილისში მდებარე შპს „ბესტსერვისის“ იმპორტული პროდუქტების პაკეტში შედის ორი ბიოსასუქი, ერთი ბიოაკარიციდი, ერთი ბიოპეტეროციდი და ერთი ბიოიმუნოსტიმულატორი;
- ▶ შპს „ბორნ სოფიშია“ თავის თბილისის, კახეთისა და ქვემო ქართლის მალაზიებში ყიდის ოთხი დასახელების ბიოპესტიციდსა და ერთ ბიოსასუქს;
- ▶ შპს „აგროვიტა“, გერმანული ქიმიური კომპანია BASF-ის ოფიციალური პარტნიორი საქართველოში, თავის მალაზიათა ქსელში ყიდის ბიოსასუქებს, ბიოფუნგიციდებსა და ბიოინსექტიციდებს;⁵⁶
- ▶ და ბოლოს გადამყიდველებიდან უნდა აღინიშნოს მალაზიათა ქსელი „დომინო“, სადაც იყიდება იმპორტული კერამბიტი, ხელოვნური გზით შექმნილი ღრენაყი, რომელიც ორგანული დანამატების და თიხის ნარევის გამოწვევით მიიღება და მსუბუქ ფოროვან მასალას წარმოადგენს.

49 „ელკანას“ მიერ ველზე და ლაბორატორიაში ჩატარებულმა ცდებმა აჩვენა, რომ იმპორტულ ბიოპრეპარატ „აზერას“ (აზადირაქტინი+ პირეტრინი) 100%-იანი ეფექტურობა აქვს, სხვა პრეპარატების შემთხვევაში კი არაერთგვაროვანი სურათი გამოჩნდა: ლაბორატორიაში „აზერას“ შემდეგ შედარებით ეფექტური იყო „პესტ-აუტი“ (მცენარეული ექსტრაქტი) (91,69%) და ნიმბეცილინი (აზადირაქტინი) (70,87%), ხოლო ველზე - ლევილინი (Bacillus Thuringiensis var. kurstaki + Bacillus Thuringiensis var. Thuringiensis) (29,56%) და ბიოინსექტ-2 (Beauveria bassiana) (22,81%) (პროექტი "აზიური ფაროსანას წინააღმდეგ ბრძოლის ბიომეთოდების გამოცდა დასავლეთ საქართველოში"; მარტი-ოქტომბერი, 2018; განმარტოვებული - "ელკანა", მხარდაჭერი - ADA).

50 agronews.ge/kompania-koperti-_janmrtheli-planeta-saghi-usaphrtkho-produqtebi-mdgradi-sophlis-meurneoba

51 http://www.agronews.ge/kompania-koperti-_janmrtheli-planeta-saghi-usaphrtkho-produqtebi-mdgradi-sophlis-meurneoba


52 <http://www.bioservice.ge>

53 <https://tenders.procurement.gov.ge/public/library/contract.php?go=212027>

54 <http://www.agrobest.ge>

55 <https://bit.ly/2XSBDYa>

56 <http://www.agrovitafsc.com/organic-farming>



1.1. ბიოსაერთიფიცირება

დღეს საქართველოში ბიონარმოების სერტიფიკატს მხოლოდ ერთი აკრედიტებული კომერციული ორგანიზაცია გასცემს - კავკასსერტი⁵⁷, რომელიც ჯერ-ჯერობით ბიოსერტიფიცირების პირველი და ერთადერთი ადგილობრივი კომპანიაა ქვეყანაში. საქართველოს ზოგიერთი კომერციული ორგანიზაციის მიერ იმპორტირებული პროდუქტი სერტიფიცირებულია ასევე საერთაშორისო კომპანიისგან-ეკოსერტისგან⁵⁸, რომელიც საქართველოში არაა რეგისტრირებული.

რაც შეეხება კავკასსერტს, მან 2008 წელს გერმანიის აკრედიტაციის ორგანოს (DAP) აკრედიტაცია მოიპოვა, ხოლო 2011 წლის ბოლოდან შევიდა ევრორეგულაციით დამტკიცებულ სერტიფიცირების ორგანოთა სიაში და მის მიერ გაცემული ბიოსერტიფიკატი აღიარებულია ევროპის ბაზარზე.

კავკასსერტი სერტიფიკატს პროდუქტების 4 კატეგორიაზე გასცემს:

- ▶ პირველადი მცენარეული პროდუქცია (სასოფლო-სამეურნეო კულტურების წარმოება და ველურად მზარდი მცენარეების შეგროვება),
- ▶ ცოცხალი ცხოველები და მეცხოველეობის პირველადი პროდუქცია (მეფუტკრეობის ჩათვლით),
- ▶ სასურსათო დანიშნულების გადამამუშავებული სასოფლო-სამეურნეო პროდუქცია (ბიოღვინის ჩათვლით),
- ▶ სარგავი მასალა და თესლი.

ბიოფერმერს კავკასსერტის მიერ მისი პროდუქციის სერტიფიცირებისთვის საჭირო ყოველი ინსპექტირება დაახლოებით 1000 და მეტი ლარი უჯდება.

კავკასსერტის განახლებადი სიის მიხედვით, ამჟამინდელი მდგომარეობით საქართველოში მას ბიოსერტიფიცირებული ჰყავდა 27 პირველადი მწარმოებელი/გადამამუშავებელი (აქედან 3 სასოფლო-სამეურნეო საშუალებების მწარმოებელი), კონვერსიაზე - 69 პირველადი მწარმოებელი თუ გადამამუშავებელი. აღსანიშნავია, რომ იგივე მდგომარეობა იყო ერთი წლის წინ, კერძოდ, 2018 წლის 2 თებერვალს, იმ ერთი განსხვავებით, რომ გასულ წელს კონვერსიაზე 40 მწარმოებელი იდგა.⁵⁹ რაც შეეხება დარგებს, არც სერტიფიცირებულებში და არც კონვერსიაზე მდგომებში არ მოიპოვება მეცხოველეობა/რძის პროდუქტების წარმოება (წინა წელს რამდენიმე იყო), ხოლო ძირითადი მასა მევენახეობა-მეღვინეობა-მეფუტკრეობაა. საგრძნობია სერტიფიცირების მთელი ისტორიის განმავლობაში გაუქმებული სერტიფიკატების რაოდენობაც: 25. ჯამური 96 ბიოოპერატორიდან 14 მხოლოდ პირველადი სასოფლო-სამეურნეო პროდუქციის წარმოებით, 73 ერთდროულად პირველადი და მეორადი პროდუქციის წარმოებით, 6 მხოლოდ მეორადი პროდუქციის წარმოებით და 3 ბიოლოგიური სანარმოლო საშუალების წარმოებით არის დაკავებული. ამასთან აღსანიშნავია, რომ საქართველოში ჯერჯერობით არც ერთი საგაჭრო ობიექტი ან ვაჭრობაში ჩართული კომპანია არაა სერტიფიცირებული (კონვერსიაზეც კი არ დგას). მეხილეობა-მეზოსტნეობის დარგში არასახარბიელო მდგომარეობაა, რადგან ეს პროდუქცია მხოლოდ 18 ოპერატორს გააჩნია (აქ არ შედის საღვინე ჯიშის ვენახები) და მათ შორის მხოლოდ 6-ს გააჩნია ორგანიზირებული სერტიფიკატი, ხოლო 12 - ჯერ კიდევ კონვერსიის პერიოდშია.

ცხრილი 1. კავკასსერტის მიერ ბიოსერტიფიცირების პროცესში ჩართული პირების რაოდენობების განაწილება სფეროების მიხედვით, მარტი-აპრილი, 2019⁶⁰

სფერო	სტატუსი	რაოდენობა
მევენახეობა, მეღვინეობა	ბიო	11
	კონვერსია	30
მეფუტკრეობა	ბიო	0
	კონვერსია	24
გარეული მცენარეები	ბიო	24
	კონვერსია	11
ბიონარმოების	ბიო	3
	კონვერსია	0

სფერო	სტატუსი	რაოდენობა
ჩაი	ბიო	1
	კონვერსია	2
მაყვალი	ბიო	0
	კონვერსია	4
თხილი	ბიო	1
	კონვერსია	0
სტაფილო	ბიო	0
	კონვერსია	1
ხილი	ბიო	0
	კონვერსია	1
ვარდის გეთი	ბიო	0
	კონვერსია	1
დაფნა	ბიო	0
	კონვერსია	1
ბალჩეული	ბიო	0
	კონვერსია	1
კარტოფილი	ბიო	0
	კონვერსია	1
შერეული (სიმინდი, კარტოფილი, ხილი, საქონელი)	ბიო	0
	კონვერსია	1
შერეული (ბურღულეული, ხილი, საქონელი)	ბიო	0
	კონვერსია	1
სულ	ბიო	27
	კონვერსია	69

57 www.caucascert.ge

58 <http://www.ecocert.com/en/certification/index.html>

59 <http://iset-pi.ge/index.php/ka/iset-economist-blog/entry/2018-03-15-06-59-04>

60 Source: Caucascert.

1.3. ბიონარმოების ხელშეწყობი არასამთავრობო ორგანიზაციები და კომპანიები

არაკომერციული არასამწარმოო ორგანიზაციების რაოდენობა, რომელთა საქმიანობის (ერთ-ერთი) მთავარი მიმართულება მცენარეული ბიოპროდუქტების წარმოებაა, შედარებით მცირეა საქართველოში. თუმცა, ამ მხრივ მდგომარეობა დინამიკურია და ამ საქმეში კონვენციონალური აგროწარმოების ხელშეწყობის ესა თუ ის ასოციაციაც შეიძლება იყოს ჩართული (დღეს თუ არა - ხვალ მაინც).

ორგანული მემცენარეობისა და მეორადი გადამუშავების⁶¹ მიმართულებით აქტიურად მომუშავე არასამთავრობო ორგანიზაციებიდან აღსანიშნავია კენკრის მწარმოებელთა ასოციაცია,⁶² რომლის საქმიანობა მოიცავს როგორც ჩვეულებრივი, ისე ორგანული კენკრის მწარმოებლებს, ბიომწარმოებელთა ასოციაცია (ბიოკოჭასა და ბიოლობიოს საცდელი პროექტები)⁶³ ორგანული ჩაის მწარმოებელთა ასოციაცია.

“ელკანას” განხორციელებული აქვს რამდენიმე ათეული დიდი, საშუალო თუ მცირე პროექტი ცალკეული ბიოპროდუქტისა თუ მთლიანად წარმოების სისტემურად ხელის შესწავლად, მათ შორის ბიოსერტიფიცირების მხარდაჭერის მიმართულებით. ასოციაციას გააჩნია საკუთარი საცდელი მეურნეობები სოფლებში წნისსა (სამცხე-ჯავახეთი) და ზემო ხოდაშენში (კახეთი).

ფონდი “ტასო” ცდილობს სოფლად ქალთა გაძლიერებისკენ მიმართულ ღონისძიებებში ბიომეურნეობების ხელშეწყობის კომპონენტი ჩართოს. გაეროს ქალთა ორგანიზაციის მიერ დაფინანსებული რამდენიმე ფაზიანი პროექტის ფარგლებში ფონდს ჯერ კიდევ 2011-2015 წლებში ჰქონდა ბიონარმოების ხელშეწყობის პრაქტიკა და ახლაც მისიწრაფის იმავს განახლებისკენ.⁶⁴

ბიონარმოებაში პერიოდულად ჩნდებიან კომპანიები, რომლებიც ცდილობენ აქტიური როლი ითამაშონ ორგანული სოფლის მეურნეობის განვითარებაში. კვლევის ჩატარების მომენტში ამ მიმართულებით მუშაობდნენ შპს “ბიოაგრო”, “მტილი” და “საფერავი ტვ”.

შპს “ბიოაგრო” დაკავებულია ბიოლოგიური სასუქების წარმოებითა და ასევე ბიოაგროწარმოების პოპულარიზაციით, ოღონდ - ცხადია - საკუთარი პროდუქციის რეალიზაციის მიზნით. ბიონარმოების პოპულარიზაციას ეწევა ასევე შპს “საფერავი ტვ”, რისთვისაც ის ძირითადად მედიას იყენებს.

1.8. ბიონარმოების ხელშეწყობი დონორები და საერთაშორისო ორგანიზაციები

ორგანიზაციები, რომლებიც საქართველოში ბიონარმოების ამა თუ იმ საკითხზე მუშაობენ, ამას „არა-ბიო“ მიმართულებების პარალელურად, ერთიანი პროგრამის ფარგლებში აკეთებენ. ეს ორგანიზაციებია:

- ▶ გერმანული ორგანიზაცია Bread for the World (პური მსოფლიოსათვის);⁶⁵
- ▶ შვეიცარიული არასამთავრობო ორგანიზაცია გლობალური დაფარვით HEKS-EPER;
- ▶ ავსტრიის განვითარების სააგენტო ADA;
- ▶ ჩეხური არასამთავრობო ორგანიზაცია გლობალური დაფარვით “ადამიანი გაჭირვებაში” PIN;
- ▶ დანიური სამთავრობო დახმარების პროგრამა DANIDA;
- ▶ ევროკავშირი;
- ▶ გაეროს განვითარების პროგრამა UNDP;
- ▶ აშშ-ის სამთავრობო დახმარების პროგრამა USAID/CNFA;
- ▶ შვედეთის საერთაშორისო განვითარების სააგენტო SIDA.

გერმანული ორგანიზაცია Bread for the World 1994 წლიდან აფინანსებს “ელკანას” ორგანული სოფლის მეურნეობის განვითარების პროგრამას. მისი დაფინანსების ფარგლებში ჩამოყალიბდა “ელკანას” ბიოსამრჩეველო სამსახური, მომზადდა ორგანული სოფლის მეურნეობის ზოგადი და დარგობრივი სატრენინგო პროგრამები; გამოიცა ბიოინტენსიური მეურნეობისა და ორგანული სოფლის მეურნეობის სახელმძღვანელოები, ასევე დარგობრივი ბროშურები და პუბლიკაციები, რეგულარულად იბეჭდება და ვრცელდება სამრჩეველო ფურცლები ბიომეურნეობათვის.

HEKS-EPER-ი წლებია, რაც ბიოთხილი წარმოების სისტემის ჩამოყალიბებას უჭერს მხარს “ელკანას” საშუალებით. გასულ წელს ამ საქმეს მთავარი დონორის სახით დანიური სამთავრობო დახმარების პროგრამა DANIDA შეუერთდა⁶⁶ პროექტის მხარდამჭერია ასევე ADA.

61 როგორც მეთოდოლოგიაშია მითითებული, მოცემული კვლევა არ მოიცავს ბიოღვინის წარმოებას, მეფუტკრეობასა და მეცხოველეობას.

62 <http://agronews.ge/kenkrovani-kulturebis-biologiuri-methodith-movla-moghvanis-teqnologiebi-mekenkretha-asotsiatsiisthvis/>

63 <https://www.facebook.com/organicgeo.ge/photos/pcb.301242203841599/301241837174969/?type=3&theater>.

64 "We'd like to invite trainers and diffuse the bio-farming knowledge in 5 regions of Georgia, where we have been working with women living in rural areas since 2018" (quotation from the survey).

65 გასული საუკუნის 90-იან წლებში პირველი პროექტები დაფინანსდა გერმანიის პროტესტანტული ეკლესიის ორი ფონდის მიერ: Diakonisches Werk და EZE/EED; შემდგომში ეს ფონდები გაერთიანდნენ ორგანიზაცია Bread for the World-ში (<https://www.brot-fuer-die-welt.de/>), რომელიც დღესაც ელკანას მხარდამჭერია.

66 <http://ghn.ge/com/news/view/215280>

გაეროს განვითარების პროგრამა UNDP-მ პროფგადამზადების დაწესებულებებისათვის შესაბამის სამთავრობო ორგანიზაციებთან და სპეციალისტებთან თანამშრომლობით მეხუთე საფეხურის ბიომეურნის სპეციალისტის სრული მოდულარული პროგრამა შეიმუშავა (იხ. „განათლება და კვლევები“), სოფლის მეურნეობის სამეცნიერო-კვლევით ცენტრთან თანამშრომლობით შეიმუშავა ბიომეურნის სახელმძღვანელო და ა.შ.

ევროკავშირი, ADA და SIDA 2019 წლიდან ერთობლივად ახორციელებენ საქართველოში მთის დახმარების მრავალმილიონიან პროექტს (GRETA),⁶⁷ რომელიც ერთდროულად ტურიზმისა და ორგანული სოფლის მეურნეობის განვითარებას შეუწყობს ხელს რაჭა-ლეჩხუმში, სვანეთსა და იმერეთის მთიანეთში.⁶⁸

გარდა ამისა, 2018 წელს ევროკავშირის დაფინანსებით დაიწყო პროექტი „Eastern Partnership: Ready to Trade - EU4 Business Initiative“⁶⁹, რომელიც მიზნად ისახავს ევროკავშირის ბაზარზე გასვლაში 6 რჩეული ექსპორტიორი ბიომწარმოებლის დახმარებას. პროექტი ხორციელდება ევროკავშირთან საქართველოს დრმა და ყოვლისმომცველი თავისუფალი სავაჭრო ხელშეკრულებისა (DCFTA) და ევრო-

კავშირთან ასოციირების ხელშეკრულების (AA) კონტექსტში.⁷⁰

ხოლო იმავე ADA-ს შემთხვევაში აუცილებლად უნდა მოვისხენიოთ 2018 წელს აზიური ფაროსანას წინააღმდეგ ბიომეთოდების გამოცდისთვის გამოყოფილი 10 000 ევრო.

ჩეხური PIN, რომელიც მრავალი წელია, რაც საარსებო წყაროების გაძლიერებაში ეხმარება საქართველოს ღარიბ მოსახლეობას. ამ მიზნის მისაღწევად, როგორც ერთ-ერთ საშუალებას, ბიოპროდუქტების წარმოების ხელშეწყობასაც მიმართავს. მაგალითად, ამ ორგანიზაციამ შარშან რამდენიმე სუპერმარკეტის ქსელში ბიოპროდუქტების საბოლოო მომხმარებელთა გამოკითხვა ჩაატარა.

ამერიკის საერთაშორისო დახმარების სააგენტო USAID ორგანული სოფლის მეურნეობას ხელს უწყობს სოფლის მეურნეობის საერთო პროგრამის ფარგლებში⁷¹ და ცალკე ღონისძიება ან პროექტი ამ მიმართულებით არ გააჩნია. თუმცა სწორედ USAID-ის და მისი ქვეკონტრაქტორი CNFA-ის დაფინანსებით ჩატარდა ეს კვლევა. გარდა ამისა, წინამორბედი პროგრამა REAP-ის ფარგლებშიც ჩატარებულა განხილვები აღნიშნულ საკითხზე.⁷²



1.1. საქართველოში ბიონარმოების საქმის დახასიათება

ბიოწახმოება საქართველოში

მიუხედავად იმისა, რომ ბიოპროდუქტების წარმოების პოპულარიზაცია საქართველოში უკვე გასული საუკუნის ოთხმოცდაათიანების პირველ წლებში დაიწყო და პირველი (და ერთადერთი) ბიომასერტიფიცირებული ორგანოც 2005

წლიდან ფუნქციონირებს, სხვადასხვა მიზეზის გამო ბიონარმოება ჯერ კიდევ ჩანასახის სტადიაზეა და საქართველოში ჯერ არაა ჩამოყალიბებული ბიოპროდუქტების სრულფასოვანი ბაზარი. ამას ბიოსერტიფიცირებული ველური მცენარეებით დაკავებული და სასოფლო-სამეურნეო სავარგულების ფართობების სტატისტიკაც ადასტურებს:

67 <https://reginfo.ge/economic/item/11370-racha-lechxumshi,-qvemo-svanetsa-da-imeretshi-biznesistvis-6-8-milioni-evro- gamoiybo>

68 <https://bit.ly/2GMjmgS>


69 <http://www.moe.gov.ge/en/news/2018-07-03-presentation-of-the-european-union>

70 http://eeas.europa.eu/archives/delegations/georgia/documents/eap_aa/dcfta_guide_2014_en.pdf

71 მაგალითი იხილეთ ბმულზე: <http://eugeorgia.info/ka/article/754/farkonma-2017-wlidan-ukve-marketingulad-shefutuli-produqciis-eqsporti-daiwyo>

72 <http://adjara.gov.ge/branches/description.aspx?gtid=628753&gid=4#.XHjgSalzblU>

დიაგრამა 2. ბიოსერტიფიცირებული მინების ფართობი საქართველოში, 2004-2018 წწ, ჰა⁷³




ველური პროდუქციის შეგროვება 2012 წლამდე არსებითად საქართველოში HiPP-ის საქმიანობით განისაზღვრებოდა. ქვეყნის ბაზრიდან ამ კომპანიის გასვლის შემდეგ კი ველური პროდუქციის შეგროვებაში ჩაგარდნაა 2017 წლამდე, როცა ახალმა კომპანიებმა დაიწყეს იმ მამართულებით საქმიანობა,

თუმცა, ჯერ-ჯერობით მცირე მასშტაბებით.

მსგავსი დინამიკა შეიმჩნევა ბიომწარმოებლების (ბიოლოგერატორების) შემთხვევაშიც:

დიაგრამა 3. ბიოლოგერატორების რაოდენობა წლების მიხედვით⁷⁴



⁷³ წყარო: Caucascert.

⁷⁴ წყარო: Caucascert.

როგორც ბიოსერტიფიცირებული ფართობების, ისე ბიოოპერატორების რაოდენობის ზრდა 2010-11 და 2014-15 წლებში უკავშირდებოდა ორ მნიშვნელოვან ფაქტორს.

ამ პერიოდში “ელკანა” დონორების დახმარებით ბიოსერტიფიცირების სუბსიდირებას ახდენდა, რამაც მწარმოებლების სწრაფი მატება განაპირობა. სუბსიდირების შეწყვეტის შემდეგ მათი რაოდენობა შემცირდა, ვინაიდან ბევრმა მწარმოებელმა ვერ შეძლო სერტიფიცირების ხარჯების დაფარვა.

მეორე ფაქტორი იყო კომპანია HiPP-ის შემოსვლა საქართველოს ბაზარზე. ეს კომპანია არამერქულ ტყის პროდუქტს იზარებდა, რამაც გამოიწვია ამ მიმართულებით როგორც ბიოოპერატორების, ასევე ბიოფართობების ზრდა. მოგვიანებით კომპანია საქართველოს ბაზრიდან გავიდა,

რასაც ორივე მაჩვენებლის არსებითი კლება მოჰყვა.

დღეს საქართველოში 27 ბიოსერტიფიკატის მფლობელია, ხოლო 69 პირი - კონვერსიის პროცესშია. ჯამური 96 ბიოოპერატორიდან 14 მხოლოდ პირველადი სასოფლო-სამეურნეო პროდუქციის წარმოებითაა დაკავებული, 73 - ერთდროულად პირველადი და მეორადი პროდუქციის წარმოებით, 6 კი - მხოლოდ მეორადი პროდუქციის წარმოებით და სამი - ბიოლოგიური სანარმოო საშუალების წარმოებით. ამასთან, აღსანიშნავია, რომ საქართველოში ჯერჯერობით არც ერთი სავაჭრო ობიექტი ან ვაჭრობაში ჩართული კომპანია არაა სერტიფიცირებული ან თუნდაც კონვერსიაზე. დარგების მიხედვით კი შემდეგი განაწილება გვაქვს: ⁷⁵

ცხრილი 2. ბიოსერტიფიცირებული და ბიოკონვერსიაში მყოფი იურიდიული და ფიზიკური პირების რაოდენობები და ფართობები დარგების მიხედვით⁷⁶

დარგი	სერტიფიცირებული			კონვერსიაზე			ფართობების რაოდენობა სულ	ოპერატორების რაოდენობა სულ
	ფართობი, ჰა	ფერმერების რაოდენობა	კომპანიების რაოდენობა	ფართობი, ჰა	ფერმერების რაოდენობა	კომპანიების რაოდენობა		
ყრძინი და ღვინო	95,81	5	6	417,9	13	17	513,71	41
მეფუტკრეობა					24		0	24
ველური პროდუქტის შეგროვება	37		10			1	37	11
კენკრა (მაყვალის, ჟილო, მოცვი)				47,1	1	3	47,1	4
ჩაი	10		1	41,52		2	51,52	3
სანარმოო საშუალებები (სასუქი და ა.შ.)			3			1	0	3
შერეული მეურნეობა (მემცენარეობა, მემარცვლეობა, მესაქონლეობა)				102,95	1	1	102,95	2
ბოსტნეული	542,9			13	1	1	13	2
თხილი			1	84,82			84,82	1
ბალჩეული (ნესვი, საზამთრო, გოგრა)				18,33	1	1	84,82	1
სხვადასხვა ხილი							18,33	1
სხვადასხვა მწვანილი	39		1				39	1
დაფნა				5		1	5	1
ვარდის ზეთი				3	1		3	1
სულ	724,71	5	22	733,62	42	27	1458,33	96

75 წყარო: Caucascert.

76 წყარო: Caucascert.


დარგების მიმოხილვისას აღსანიშნავია ორი თავისებურება:

- ▶ გამოყენებული ფართობების დაფიქსირება ვერ ხერხდება იმ ოპერატორებისათვის, რომლებიც მეფუტკრეობით და ველურად მზარდი მცენარეების შეგროვება/გადამუშავებით არიან დაკავებული. თუმცა ამ ორ დარგში სერტიფიცირებული ოპერატორების რაოდენობა, სხვა დარგებთან შედარებით, მაღალია;
- ▶ დიდ ჯგუფს თხილის მწარმოებლები წარმოადგენენ,

რომლებიც ჯგუფურ სერტიფიცირებაში ჩართვის გამო, ერთ ოპერატორად აღინიშნებიან (ბიოსერტიფიცირებული თხილის გადამამუშავებელი საწარმო „ანკა ფეა თრეიდის“ საშუალებით).

კონვერსიაში მყოფ 69 ოპერატორს შორის ყველაზე დიდი წილი მეფუტკრეებსა და ველური პროდუქტის შემგროვებლებზე მოდის, რომელთა საქმიანობა არ არის უშუალოდ დაკავშირებული სასოფლო-სამეურნეო ნაკვეთების დამუშავებასთან.

დიაგრამა 4. ბიოოპერატორების რაოდენობები ფართობების მიხედვით⁷⁷



ფართობების და ოპერატორების სიმცირის გათვალისწინებით, ბუნებრივია, რომ ქართული სერტიფიცირებული პროდუქტების რეალიზაცია, როგორც პროდუქციის ასორტიმენტის, ისე მოცულობის სიმცირით გამოირჩევა:

ცხრილი 3. ბიოსერტიფიცირებული პროდუქტების წარმოებული რაოდენობები, 2016 და 2018 წ⁷⁸

პროდუქტის დასახელება	რაოდენობა, 2016	რაოდენობა, 2018	ერთეული
ღვინო (საფერავი)	1965	2400	Bottle
გამომშრალი ძირტკბილა	300	182.5	Ton
ჭინჭარი გამომშრალი	52	40.5	Ton
გარეული ვაშლი გამომშრალი	42	51.180	Ton
ასკილი	30	12.4	Ton
ასკილის თესლი	30	39.4	Ton
მოცვი გამომშრალი	2,581	-	Ton
შავი ჩაი	1.71	0.5	Ton
მწვანე ჩაი	1.71	-	Ton
ყურძენი (უსახელოური)	1,235	-	Ton
ქაჯვი გამომშრალი	1,025	-	Ton

⁷⁷ წყარო: Caucascert.

⁷⁸ წყარო: კავკასსერტი.

პროდუქტის დასახელება	რაოდენობა, 2016	რაოდენობა, 2018	ერთეული
ალუზა	1	-	Ton
მაყვლის ფოთლები გამომშრალი	0,93	31.834	Ton
სოჭის გირჩი	-	5.73	Ton
სოჭის თესლი	-	5.158	Ton
მოცვი	-	12.575	Ton
მოცვის ფოთოლი გამომშრალი	-	33.77	Ton
არამერქნული ტყის პროდუქტი	-	6.889	Ton

შემთხვევით ჩამოთვლილი სერტიფიცირებული პროდუქტების რეალიზაცია მთლიანად საექსპორტო ბაზარზე მოხდა და ამას თავისი მიზეზები მოუპოვება:

- ▶ ბიოლოგიურ სერტიფიკატს მწარმოებლები იღებენ საექსპორტო პროდუქციის წარმოებისათვის;
- ▶ ადგილობრივ ბაზარზე ჯერ არ არის ცალკე გამოყოფილი ბიოლოგიური პროდუქტების სეგმენტი.

მართალია, სერტიფიცირებული ქართული პროდუქტი ადგილობრივ ბაზარზე არ იყიდება, მაგრამ ეს არ ნიშნავს, რომ ქართულ ბაზარზე არ არის წარმოდგენილი სხვა ქვეყნებიდან იმპორტირებული და სერტიფიცირებული ბიოლოგიური პროდუქცია. ასეთი პროდუქციის იმპორტს საქართველოში ისეთი წამყვანი სუპერმარკეტების ქსელები აწარმოებენ, როგორებიცაა "კარფური", "გუდვილი", "ვერო-პროდუქტი" და "აგროპაბი". ამ სუპერმარკეტების დახლებზე შესაძლებელია წამყვანი ვეროპული კომპანიების ისეთი ბიოპროდუქტების შექმნა, როგორიცაა ჩაი, ყავა, ვერმიშელი, ტკბილეული, კოსმეტიკა და სხვა. მაგრამ აქვე აღსანიშნავია

აღსანიშნავია ისიც, რომ მიუხედავად ბიოლოგიური ნიშანდებისა და სერტიფიცირებისა, ეს პროდუქცია მაინც უბრალო პროდუქტების სტატუსითაა წარმოდგენილი და ცნობადია მხოლოდ მომხმარებელთა ვიწრო და სპეციფიკური წრისათვისა. აღსანიშნავია, რომ საქართველოს საგაჭრო ობიექტებში ფაქტობრივად არც მოიძებნება ადგილობრივი სერტიფიცირებული ბოსტნეული და ხილი.

საერთოდ, უნდა ითქვას, რომ ამ ეტაპისათვის საქართველოს ბაზარზე ბიოპროდუქციაზე არ არის გამოვლენილი არც ფასთა სხვაობა და არც საბაზრო სეგმენტი.

მიუხედავად იმისა, რომ დღეს საქართველოში სერტიფიცირებული პროდუქციის ასორტიმენტი მცირეა, კვლევის ფარგლებში ჩატარებულმა გამოკითხვამ საკმაოდ დიდი მოცულობის პროდუქტი დააფიქსირა, რომლის წარმოების პროცესში ბიოლოგიური მეთოდები გამოიყენება და მათი მწარმოებლებიც არ დგებიან სერტიფიცირებაზე სხვადასხვა მიზეზის გამო:

ცხრილი 4. ბიოლოგიური მეთოდებით წარმოებული პირველადი და მეორადი წარმოების პროდუქციის მონაცემები, 2016-2018⁷⁹

Product	Output (kg)			Income (GEL)		
	2016	2018	2019	2016	2018	2019
ჩაი	430,830	431,600	435,000	2,317,120	2,299,350	2,881,820
არამერქნული ტყის პროდუქტები	560,831	852,656	1,009,207	1,237,626	1,795,856	2,025,432
ბოსტნეული	518,618	751,327	894,527	706,603	1,039,626	1,233,045
კენკრა	237,500	374,579	573,015	309,650	480,258	576,207
მარცვლეული	70,000	81,846	151,375	181,000	230,236	485,800
ხილი	261,000	355,100	394,800	238,550	384,725	335,375
მერქნული ტყის პროდუქტები	5,500	7,066	9,747	56,400	75,531	130,157
ხილის წვენები	60,800	91,300	91,000	50,050	78,850	77,500
ჩირები	4,000	5,000	26,591	21,400	26,290	46,820
გადამუშავებული ხილი (მურაბა, ტყლაპი, ჩურჩხელა და ა.შ.)	0	1,050	1,079	0	678	748
ტექნიკური კულტურები				5,118,399	6,411,400	7,792,903

სულ

79 წყარო: წინამდებარე კვლევის ფარგლებში ჩატარებული გამოკითხვა.

თუ გავანალიზებთ ფინანსურ მაჩვენებლებს, დავინახავთ, რომ შემოსავლების ყოველწლიური ზრდა 20%-ს აჭარბებს, რაც ქვეყნის მაშტაბით ბიოლოგიური მეთოდებით წარმოებული პროდუქციის ზრდის დადებით პოტენციალზე მეტყველებს. აღსანიშნავია ის ფაქტიც, რომ ყველაზე დიდი ზრდის მაჩვენებელი ბოსტნეულის, ჩირებისა და ხილის წვენების წარმოებას ახასიათებს, რაც ამ პროდუქციაზე ჭარბ მოთხოვნას ადასტურებს.

როგორც ვხედავთ, წარმოების დინამიკა დადებითია და ზოგ პოზიციამე სტაბილურ ზრდასაც განიცდის. სავარაუდოდ, შესაბამისი ხელშეწყობის შემთხვევაში, ამ პროდუქციის წარმოების სერტიფიცირებისა და მოცულობის ზრდის საგრძნობი პოტენციალიც არსებობს.


ადგილობრივ ბაზარზე საქართველოში ბიოლოგიური მეთოდებით წარმოებული პროდუქციის რეალიზაციის პერსპექტივებთან დაკავშირებით კვლევის შედეგებმა ისიც დაგვანახა, რომ ადგილობრივ მომხმარებელთა ძირითადი მოთხოვნა ისეთ პროდუქტებზე გრცელდება, როგორცაა

ხილი, ბოსტნეული, ხილის წვენები, სხვადასხვა ჩაი, კენკრა და კარტოფილი. ეს მოთხოვნა დღეს მოსახლეობის ჯანმრთელობაზე ზრუნვის პოპულარობის ზრდის ანარეკლია. იმისათვის, რომ შევადგასოთ ქართული ბიოლოგიური წარმოების შესაძლებლობები და პერსპექტივები, აუცილებელია, განვიხილოთ საერთაშორისო ბიოლოგიური პროდუქციის ბაზრების ტენდენციები.

მსოფლიოს ბიობაზარი და საქართველოს საექსპორტო პოტენციალი

ბიოლოგიური საკვები პროდუქტების სეგმენტის მსოფლიო ბაზარი - ჩამოყალიბებიდან დღემდე - სტაბილურად იზარჩუნებს ზრდის ტენდენციას. 2017 წლის მონაცემებით, მისმა საერთო მოცულობამ 97 მლრდ აშშ დოლარს მიაღწია. 1999 წელთან შედარებით, როდესაც ბაზრის მოცულობა სულ 15,2 მილიონი დოლარი იყო, ეს მნიშვნელოვანი ზრდაა.

დიაგრამა 5. საერთაშორისო ბიობაზრის ზრდა, მლნ დოლარი⁸⁰



ბოლო წლების განმავლობაში ბიოლოგიური პროდუქტების ბაზარი ყოველწლიურად 7-9%-ით იზრდება.

კავკასიურების საექსპორტო სერტიფიცირების მონაცემებით, 2018 წელს საქართველოდან 1 571 404 აშშ დოლარის სერტიფიცირებული ბიოპროდუქტების ექსპორტი განხორციელდა. აქედან უდიდესი ნაწილი - 1 376 158 აშშ დოლარი - არამერქნულ ტყის პროდუქტზე მოდის, რომლიდანაც 318 478 აშშ დოლარის პროდუქცია დანიაში, ხოლო 1 057 680 აშშ დოლარის პროდუქცია გერმანიაში გაიყიდა. ამავე პერიოდში გერმანიაში ასევე 173 676 აშშ დოლარის მოცულობის მწვანელი და 14 070 აშშ დოლარის ღვინის ექსპორტი განხორციელდა, ხოლო ჩეხეთში 7 500 აშშ დოლარის ჩაის რეალიზაცია მოხდა.


როგორც ვხედავთ, დღეს საქართველოს ბიოპროდუქტების ექსპორტის ძირითადი წილი გერმანიაზე მოდის, რაც არ არის გასაკვირი, რადგან გერმანიის ბიოპროდუქტების ბაზარი

ევროპის ერთ-ერთ უდიდეს ბაზარსა და იმავდროულად ერთ-ერთ უდიდეს ექსპორტიორს წარმოადგენს.

კვლევის დროს ჩატარებულმა გამოკითხვამ დააფიქსირა როგორც პირველადი, ასევე მეორადი სასოფლო-სამეურნეო პროდუქციის მრავალი მწარმოებელი, რომლებიც უკვე დღეს თავის წარმოებაში იყენებენ ბიომეთოდებს, მაგრამ სხვადასხვა მიზეზის გამო ჯერ არ დგანან სერტიფიცირებაზე. მათი წარმოების ბოლო 3 წლის სტატისტიკა შემდეგ სურათს გვიჩვენებს:

80 წყარო: IFOAM.

დიაგრამა 6. საქართველოში ბიომეთოდებით წარმოებული მცენარეული პროდუქტების 3 წლის დინამიკა, ლარი⁸¹



მიუხედავად იმისა, რომ დღეს საქართველოს ბიოპროდუქტების ძირითად მომხმარებელს - გერმანიის ბიობაზარი წარმოადგენს, ქართულ ბიოპროდუქტების პოტენციურ ბაზრებად ასევე სხვა საექსპორტო ბაზრებიც შეიძლება იყოს განხილული. საექსპორტო პოტენციალის განსასაზღვრად ჩვენს მიერ USA OTA Trade Datas 2011-2016 და eugeorgia.info-ს მონაცემებზე დაყრდნობით განხორციელდა წამყვანი

პოტენციური იმპორტიორების მოთხოვნის შესწავლა ბიოლოგიურ პროდუქციაზე. ამ მონაცემების შესაბამისად, ქვეყნების მიხედვით დაფიქსირდა მოთხოვნები იმპორტზე. შემდეგ ეს მოთხოვნა შეედარა კვლევის შედეგად ბიოლოგიური მეთოდებით წარმოებული პროდუქტების მონაცემებს, რის საფუძველზეც გამოიკვეთა შემდეგი ქართული ბიოპროდუქტების საექსპორტო პოტენციალი:

ცხრილი 5. საქართველოდან ექსპორტის პოტენციალი ქვეყნების მიხედვით

პროდუქტის დასახელება	გერმანია	ჩეხეთი	დანია	საფრანგეთი	იტალია	შვედეთი
ხილი						
ხილის წვენი						
ბოსტნეული						
ჩაი						
ჩირები						
მარცვლეული						
კენკრა						
კარტოფილი						
გადამუშავებული ხილი (მურაბა, ტყლაპი, ჩურჩხელა და ა.შ.)						
არამერქნული ტყის პროდუქტები						

81 წინამდებარე კვლევის ფარგლებში ჩატარებული გამოკითხვა.



II. მთავარი შეზღუდვები და ხელშემწყობი ფაქტორები

წინამდებარე კვლევის შედეგად საქართველოში ბიოლოგიური წარმოების და ბიოლოგიური პროდუქტების ბაზრის განვითარების შემაფერხებელი და ხელშემწყობი ფაქტორების საკმაოდ დიდი მრავალფეროვნება დაფიქსირდა. კვლევის ჯგუფმა აღნიშნული კვლევისა და სხვა წყაროებით (“ელკანას” შიდა კვლევები და მრავალწლიანი პირადი გამოცდილება და ცოდნა) მიღებული ინფორმაცია შეაჯერა და ბიოწარმოებისათვის სპეციფიკური ძირითადი პრობლემები გამოკვეთა. ქვემოთ წარმოდგენილია ამ რამდენიმე ძირითადი პრობლემისა და ხელშემწყობი ფაქტორის მიმოხილვა.

ბიონარმოების შამაფერხებელი ფაქტორები

შემაფეხებელი ფაქტორი #1: სეხციფიციხებელი პიოლექტის მციხე ხოლენობა და ასოხციმენცი

სერტიფიცირებული პროდუქტის მცირე რაოდენობები და ასორტიმენტი არ იძლევა ადგილობრივი ბაზრის შექმნის შესაძლებლობას, რომელსაც როგორც ბიოპროდუქტის მიწოდების უწყვეტობა, ასევე გარკვეული მინიმალური ასორტიმენტი სჭირდება. სწორედ ამით არის განპირობებული ის ფაქტი, რომ საქართველოში, მასერტიფიცირებული ორგანოს არსებობისა და ბიოაგროწარმოების მრავალწლიანი პოპულარიზაციის მიუხედავად, ქართული ბიოაგროწარმოება და ბიობაზარი ჯერ კიდევ ჩანასახის დონეზეა და ბაზრის ამ სეგმენტს შესაბამისი სტრუქტურა და სტატუსი არ გააჩნია. ამავე მიზეზით დაბალია საექსპორტო პოტენციალიც, რადგან საექსპორტო ხელშეკრულების გასაფორმებლად ბიოპროდუქტის გარკვეული კრიტიკული მასის არსებობაა საჭირო.

“ელკანას” მიერ გასულ წლებში მისი წევრი ფერმერების ბაზრობების დროს მომხმარებელთა შიდა გამოკითხვებმა ნათლად აჩვენა ის ფაქტი, რომ მოსახლეობის გარკვეული ნაწილი უკვე დიდი სიფრთხილით ეკიდება საკვები პროდუქტების შერჩევის და მოხმარების საკითხს. როგორც ფერმერებთან მუშაობის პრაქტიკა ადასტურებს, ინტენსიურ სოფლის მეურნეობაში გახშირდა გამოუცდელი ფერმერების მიერ ქიმიური პრეპარატების ჭარბი დოზებით გამოყენების ფაქტები, რაც ადამიანთა ჯანმრთელობას საფრთხეს უქმნის.

აქ განსაკუთრებული ყურადღება უნდა გამახვილდეს იმაზე, რომ მომხმარებელთა უმრავლესობას ჯერ არ გააჩნია მკაფიო წარმოდგენა ბიოლოგიური პროდუქტის განმასხვავებელი ნიშნების შესახებ.

გემოთ აღნიშნული გამოკითხვების მიხედვით, მომხმარებელთა მოთხოვნა ადგილობრივ ბაზარზე პირველადი მოხმარების ფაქტობრივად ყველაწიარ პროდუქტზე გრცელდება, იქნება ეს ბოსტნეული, ხილი, რძის ნაწარმი, ხორცი თუ თაფლი. ამ ჩამონათვალს თუ შევადარებთ ვაკვასერტის მიერ სერტიფიცირებულ თუ კონვერსიამდე დაყენებულ პირთა პროფილს, დღეს ძირითადად თაფლს თუ დაფინახავთ. თუმცა იმპორტით დეფიციტის დაფარვა ნაკლებად ხდება, რადგან ამ ბიოლოგიური პროდუქტების კატეგორიის ისედაც მაღალ ფასს ლოგისტიკის მაღალი ღირებულება ემატება, რაც საბოლოო ჯამში სარეალიზაციო ფასის მნიშვნელოვან ზრდას იწვევს. ეს ფასები კი, ჩვეულებრივ, მიუწვდომელია საშუალო ქართველი მომხმარებლისათვის.

დღეს ქართველი მომხმარებელი მზადაა ჯანმრთელობის უსაფრთხოების გარანტიისათვის მეტი გადაიხადოს. მაგალითად, PIN-ის მიერ 2017 წლის დეკემბერში სუპერმარკეტების მომხმარებელთა შორის ჩატარებულმა გამოკითხვამ აჩვენა, რომ ამ კატეგორიის მომხმარებლები

დღეს ქართველი მომხმარებელი მზადაა ჯანმრთელობის უსაფრთხოების გარანტიისათვის მეტი გადაიხადოს. მაგალითად, PIN-ის მიერ 2017 წლის დეკემბერში სუპერმარკეტების მომხმარებელთა შორის ჩატარებულმა გამოკითხვამ აჩვენა, რომ ამ კატეგორიის მომხმარებლები მზად არიან ბიოპროდუქტებისთვის ჩვეულებრივი პროდუქტების ფასზე 5-100%-ით მეტი გადაიხადონ. ამასთან, 2016-2017 წლებში "ელკანას" წევრი ფერმერების გამოფენა-ბაზრობებზე ჩატარებულმა გამოკითხვამ დააფიქსირა, რომ მომხმარებელი მზად არის 10-15%-ით მეტი გადაიხადოს. რეალური საბაზრო სეგმენტის გამოყოფის და შესაბამისი მომსახურების განვსჯის შემთხვევაში, 50%-მდე ფასთა სხვაობა ბიოლოგიურ და კონვენციურ პროდუქტების ფასებს შორის სავარაუდოდ სავსებით რეალურ მაჩვენებელს წარმოადგენს.

ბაზრის ამ ვითარებით დღეს სარგებლობს ზოგიერთი წვრილი ფერმერი, რომელიც თავისი პროდუქტის წარმოებაში ბიოლოგიურ მეთოდებს იყენებს (სრულად ან ნაწილობრივ) და პირდაპირი გაყიდვების გამოყენებით ახდენს ამ პროდუქტის რეალიზაციას. რა თქმა უნდა, აქ არ არის გამორიცხული გადახდების და ფალსიფიცირების ფაქტების არსებობაც, რის გამოც საბოლოო ნდობის მიღწევაც შეუძლებელი ხდება.

მცირე რაოდენობის ბიოლოგიური პროდუქტის არსებობის პირობებში შეუძლებელი ხდება ადგილობრივი ბიოაზრის ჩამოყალიბების პროცესის დაჩქარება იმის გამო, რომ დღეს ბაზრის ძირითადი სეგმენტი აგრარული ბაზრებიდან უკვე დიდი სუპერმარკეტების ქსელებში გადავიდა, რომლებსაც სეგმენტის განვითარებისათვის პროდუქტის გარკვეული მინიმალური ასორტიმენტი, მისი შესაბამისი სამომხმარებლო ხარისხი, მიწოდების მუდმივობა და ხარისხის გარანტიები (ანუ სერტიფიცირებული პროდუქტის არსებობა) ესაჭიროება. ამასთან ერთად, ჯერ ჩამოყალიბებული ბაზრისა და გამოხატული ფასთა სხვაობის არარსებობის პირობებში მწარმოებლებს არ გააჩნიათ დამატებითი მოგების მიღების ორიენტირები, რაზეც გათვლიდნენ 3-წლიანი კონვერსიის პერიოდზე გასაწევი დანახარჯების მიზანშეწონილობას. ასეთი გარანტიების არარსებობის შემთხვევაში ბიოაზრის სეგმენტის ჩამოყალიბება ამ ეტაპზე გაუმართლებელ ფინანსურ ხარჯებს იწვევს. ადგილობრივ ბაზარზე ჩვენ გვქონდა და დღესაც გვაქვს მცირე ზომის ბიოლოგიური მალაჩიების შექმნის მცდელობების პრაქტიკა. ეს მალაჩიები ნდობის საფუძველზე თანამშრომლობენ ფერმერებთან, მაგრამ ამ ფერმერთა წარმოების მცირე მოცულობები ვერ აკმაყოფილებს ასეთი სავაჭრო ობიექტების კომერციული ფუნქციონირებისთვის საჭირო მოცულობებს, რაც საბოლოო ჯამში სხვა, ხშირ შემთხვევაში არასანდო წყაროებიდან ამ დანაკლისის შევსების აუცილებლობას ქმნის, რაც თავად სავაჭრო ობიექტების სანდობას აყენებს კითხვის ქვეშ.

ბიონარმოების მცირე მასშტაბები ქვეყნის საექსპორტო პოტენციალის გამოუყენებლობასაც უწყობს ხელს. საერთაშორისო ბაზრების ზრდამ (იხ. მოცემული ნაშრომის შესაბამისი თავი ბაზრების შესახებ) კარგ შესაძლებლობებს იძლევა ქართული ბიოპროდუქტების ექსპორტისათვის, მაგრამ აქაც დიდი მნიშვნელობა ენიჭება პროდუქტის კრიტიკული მასის არსებობას, რის გარეშეც შეუძლებელია საექსპორტო კონტრაქტების დადება. სერტიფიცირების პირველი მცდელობები ამ ეტაპზე ეკუთვნის იმ მწარმოებლებს,

რომლებიც ბიოსერტიფიცირებული პროდუქტის ექსპორტს ანალოგიური კონვენციური პროდუქტის პარალელურად ახდენენ (თხილი, ღვინო, მშრალი არამერქნული ხე-ტყის პროდუქტი) ან სპეციფიკურ, მაღალლიკვიდურ და მაღალი მოგების მარჟის მქონე პროდუქტებს ანარმოებენ (ადგილწარმოშობის ღვინოები, ველური მცენარეები და სხვა). როგორც წესი, ამ პროდუქტების სერტიფიცირებაში ჩართულები არიან მსხვილი მწარმოებლები, რომელთა რაოდენობა ქართულ სასოფლო-სამეურნეო ბაზარზე მცირეა. შესაბამისად, საექსპორტო პოტენციალის სწრაფი რეალიზება შეუძლებელი ხდება. სწრაფ განვითარებას ასევე ხელს უშლის ისიც, რომ სერტიფიცირებაზე მდგომ კომპანიათა შორის ჭარბობს ისეთი მწარმოებლები, რომლებიც იძულებული არიან ერთდროულად როგორც პირველადი, ისე მეორადი წარმოებით იყვნენ დაკავებული იმის გამო, რომ ნედლეულის მწარმოებლები ჯერ არ არიან სერტიფიცირებული. ხოლო პირველადი მწარმოებლების სერტიფიცირების ტვირთად აღება მეორადი მწარმოებლისა თუ პროდუქტის კონსოლიდაციის ცენტრისათვის დიდი ფინანსური რისკების მატარებელია. აქ თავს იჩენს ასეთი პირველადი მწარმოებლების ნაკლები პასუხისმგებლობა, რამაც ინდივიდუალური სერტიფიცირების შემთხვევაში, სერტიფიცირებაზე გაღებული თანხის დაკარგვის (ხოლო ჯგუფური სერტიფიცირების დროს - მთლიანად ჯგუფზე განეული ხარჯების დაკარგვის) მიზეზი შეიძლება გახდეს.

შემაფხეხებელი ფაქტოი #2: სეხციფიციხების პიოცესის ხანგხცივობა (3 წელი) და მალადი ფასი

სერტიფიცირების სტანდარტების შესაბამისად ბიოლოგიური სერტიფიკატის აღებას ოპერატორის კონვერსიაზე დადგომის შემდეგ 3 წლის კონვერსიის პერიოდი სჭირდება და ესეც მაშინ თუ მის მიერ ან გარემო პირობებიდან გამომდინარე, არ დაირღვევა მოქმედი სტანდარტების მოთხოვნები. ამ პერიოდის განმავლობაში ოპერატორს უნებს ყოველწლიურად სერტიფიცირების პროცესით გათვალისწინებული ინსპექტირების ხარჯის გადახდა, რომელიც დამოკიდებულია მრავალ ფაქტორზე (დაშორება მასერტიფიცირებელი ორგანოს ოფისიდან, ფართობის ზომა, კულტურების რაოდენობა და სხვა). მიუხედავად იმისა, რომ კავკასიურის ინსპექტირების ფასი ბევრად უფრო დაბალია, ვიდრე უცხოური მასერტიფიცირებელი ორგანოს ინსპექტირებისა, ეს ხარჯიც არ არის მცირე ქართველ ბიოფერმერისათვის. ამით აიხსნება ის, რომ სერტიფიცირებაზე დღეს კავკასიურს მიმართავენ ის კომპანიები და ფერმერები, რომლებიც გეგმავენ ექსპორტს, ან სერტიფიცირების ხარჯზე მოგების მაღალ მარჟას ელოდებიან, ხოლო ადგილობრივ ბაზარზე ორიენტირებული ფერმერების რაოდენობა, სადაც ჯერ არ არის დაფიქსირებული ფასთა სხვაობა ბიოლოგიურ და კონვენციურ პროდუქტებს შორის, და არ არის გარანტია დამატებითი ხარჯების ფასნამატით გადაფარვისა ძალზე მცირეა. აღსანიშნავია, რომ მართალია, სხვა ქვეყნებშიც კონვერსიის მსგავსი ხანგრძლივობა და ფასები აღინიშნება, სამაგიეროდ იქ ბიონარმოებაზე სხვადასხვა ხელშემწყობი პროგრამა მოქმედებს (საგარანტო დახმარებიდან დაწყებული ლოტაციებით დამთავრებული), რაც ბიონარმოებლებს კონვერსიის პერიოდის გავლას უშუაბუქებს და რისკებს უმცირებს.

როგორც ვხედავთ, ჩამოყალიბებული ბაზრის პირობებში სერტიფიცირების მაღალი დანახარჯები ხელს უშლის სერტიფიცირებული ბიოლოგიური წარმოების პროცესში

ფერმერთა ძირითადი მასის (რომელიც წვრილი და საშუალო ფერმერებია წარმოდგენილი) ჩართვას. ამასთან სერტიფიცირებაზე მდგომი ოპერატორების მცირე რაოდენობა და ბიოპროდუქციის ასორტიმენტის სიმცირე არ იძლევა ადგილობრივი ბიოპროდუქციის ჩამოყალიბების შესაძლებლობას და არც საექსპორტო პოტენციალის შექმნას უწყობს ხელს. ერთი შეხედვით, აქ ჩაკეტილ წრეს ვაწყდებით, მაგრამ როგორც ვლევინიდან დავინახეთ, უკვე ყალიბდება მწარმოებელთა წრე, რომელიც ბიოლოგიური მეთოდებით აწარმოებს თავის პროდუქციას. მათთვის სერტიფიცირების გავლასა და წარმოების გაფართოვებაში ხელშეწყობით შესაძლებელი იქნება ბიოპროდუქციის ჩამოყალიბების დაჩქარება.

გარდა ამისა, როგორც ქიმიური, ისე არაქიმიური იმპორტირებული სასუქები და პესტიციდები ადგილობრივად წარმოებულ ბიოსასუქებთან და ბიოპესტიციდებთან შედარებით უპირატესობით სარგებლობენ, რადგან მხოლოდ რეგისტრაციას საჭიროებენ, ხოლო ადგილობრივი წარმოების ბიოსასუქებმა და ბიოპესტიციდებმა სერტიფიცირება უნდა გაიარონ. ამასთან, იმპორტირებული საწარმოო საშუალებების რეგისტრაცია ბევრად უფრო მარტივი პროცედურებით ხდება, ვიდრე ადგილზე წარმოებულებისა.

შემაფეხხეველი ფაქტორი #3: ბიოლოგიური აგროქიმიკატების საკითხებში ფეხმეხთა ცოდნის ნაკლებობა და კვალიფიციური ბიოლოგიური ექსპედიტების ხელმძღვანელობა

კომერციული ბიოლოგიური სასოფლო-სამეურნეო წარმოება საქართველოში ახალ მიმართულებას წარმოადგენს. ქვეყანაში სხვადასხვა ბუნებრივ-კლიმატურ და ნიადაგურ პირობებში და სხვადასხვა კულტურაზე ბიომეთოდებისა და ბიოსაშუალებების მოქმედების გამოცდები ნაკლებად ტარდება.

საქართველოში ბიოლოგიური წარმოების განვითარებისათვის დიდი მნიშვნელობა ენიჭება ფერმერებისთვის ცოდნის დონის ამაღლებას და სასოფლო-სამეურნეო ინფორმაციის გავრცელების ეფექტური სისტემის შექმნას, რომელიც იქნება სანდოობით გამორჩეული და მაღალ სამეურნეო შედეგებზე ორიენტირებული, მით უმეტეს, რომ ორგანიზაციის სასოფლო-სამეურნეო წარმოება ყველას თვალში ხასიათდება ხელის შრომის მაღალი წილით, ბიოლოგიური სასოფლო-სამეურნეო საშუალებების არასაკმარისი ეფექტურობით, მოსავლიანობის შემცირებით და მოსავლის ან სერტიფიკატის დაკარგვის მაღალი რისკით არახელსაყრელი პირობების დადგომის შემთხვევაში (დაავადების ან მავნებლის ფორს-მაჟორული გავრცელება). ცალკე საკითხს წარმოადგენს არა მარტო ბიოლოგიური აგროწარმოების სპეციალისტების (აგრონომების, მცენარეთა დამცველების, ნიადაგმცოდნეების და სხვა) არარსებობა ქვეყანაში, რომელთა მომზადებას არ აწარმოებდა არც ერთი სასწავლო დაწესებულება, არამედ კვალიფიციური პრაქტიკოსი კონვენციური სოფლის მეურნეობის სპეციალისტების დიდი დეფიციტიც, რაც გამოწვეულია იმით, რომ უმუშევრობის მაღალი დონის გამო განათლებამიღებული სპეციალისტები წლების განმავლობაში კარგავდნენ კვალიფიციის და სხვა სფეროებში საქმედბოდნენ.

შემაფეხხეველი ფაქტორი #4: მცენარეთა დაცვის ბიოლოგიური საშუალებების ხელმძღვანელობა საქართველოში

ბიოლოგიური სასუქებისა და მცენარეთა დაცვის საშუალებების ფართო ასორტიმენტის არსებობა და მათი ხელმისაწვდომობა ბიოლოგიური წარმოების განვითარების ერთ-ერთი მნიშვნელოვანი წინაპირობაა. დღეს საქართველოში უკვე რეგისტრირებულია და რეალიზაცი-აშია რიგი ბიოლოგიური სასუქები და მცენარეთა დაცვის საშუალებები, რომლებიც დაშვებულია ბიოლოგიური სტანდარტით გამოყენებისათვის, მაგრამ ამ საშუალებების ასორტიმენტი მცირეა და მათი გამოყენების ეფექტი ვერ ფარავს იმ სრულ საჭიროებათა ჩამონათვალს, რომლებიც ამ დარგში არსებობს. ეს გამოწვეულია იმით, რომ წინა პერიოდის განმავლობაში ქვეყანაში ბიოწარმოების მცირე მასშტაბის გამო, საწარმოო საშუალებების შემოტან კომპანიებს არ გააჩნდათ კომერციული ინტერესი ამ მიმართულების განვითარებისათვის და ბიოლოგიური საშუალებების შემოტანას ქვეყანაში ახორციელებდნენ ან მათი ბუნებრივი ეფექტურობის, ან ექსპერიმენტის, ან კიდევ ალტერნატიული შესაძლებლობის შექმნის გამო. სრულიად შესაძლებელია, რომ ბიოწარმოების ხელშეწყობის პროგრამის დაწყებისთანავე საქართველოს ბაზარზე მრავალი სხვადასხვა ქვეყნის მწარმოებელი კომპანიის ბიოსაწარმოო საშუალებების შემოტანის მცდელობები დაიწყოს. აქ უკვე მნიშვნელოვან საკითხს ამ საშუალებების ადგილობრივი კლიმატური პირობების გათვალისწინებით კვალიფიციური გამოცდა წარმოადგენს, რასაც დიდი დრო და რესურსები დასჭირდება.

მნიშვნელოვან საკითხს წარმოადგენს მცენარეთა დაცვის ბიოსაშუალებების სარეალიზაციო ქსელის აწყობა, რისთვისაც შეიძლება გამოყენებული იყოს უკვე შექმნილი და კარგად განვითარებული ფერმერთა მომსახურების ცენტრების ქსელი, რომელიც ფაქტობრივად მთელ საქართველოს ტერიტორიას ფარავს და, საწარმოო საშუალებების რეალიზაციის გარდა, ასევე ფერმერთა კონსულტირების ფუნქციებსაც ითავსებს. არ არის გამორიცხული ისიც, რომ დადგეს საჭიროება ცალკე ბიოსაწარმოო საშუალებების რეალიზაციის ქსელის აწყობისა. ამ ტიპის კომპანიების მიერ თავის მომხმარებლებისათვის თანმდევი კონსულტაციების განვითარება უკვე დამკვიდრებული პრაქტიკის ფონზე, შესაძლოა მათი კონსულტანტების გადამზადებისა და კვალიფიციის ამაღლების საჭიროებაც დადგეს.

შემაფეხხეველი ფაქტორი #5: ინფორმაციის ნაკლებობა ჩოგოხც ადგილობრივ, ასევე საექსპორტო ბიოპროდუქციის ბაზრების შესახებ

საბაზრო ორიენტირების არარსებობის შემთხვევაში პოტენციურ ბიოწარმოებელთათვის დიდ მნიშვნელობას წარმოადგენს როგორც ადგილობრივ, ასევე საექსპორტო ბაზარზე არსებული და საპროგნოზო სიტუაციების შესახებ ეფექტური საინფორმაციო სისტემის არსებობა.

ბიოლოგიურ წარმოებაზე ორიენტირებული მწარმოებლებისაგან, სერტიფიცირების ხარჯების გარდა, დამატებითი ფინანსური რესურსების და რისკების გაღებას მოითხოვს. მწარმოებლის მიერ ამ ნაბიჯის გადადგმა დიდ სირთულეს წარმოადგენს

სანდო ინფორმაციის (დანყებული ისეთი ელემენტარული საკითხებით, როგორცაა ბიონარმოების პრინციპები და ბიოპროდუქტების უპირატესობები) არარსებობის შემთხვევაში. ამიტომაც არის, რომ დღეს ბიოლოგიურ წარმოებაში ან ერთეული ენთუზიასტები, ან კიდევ საექსპორტო ბაზრებზე გასული კომპანიები ერთვებიან და საკუთარი მოსაზრებების საფუძველზე თავის თავზე იღებენ როგორც ბიოსერტიფიცირების, ასევე შემდგომი შედეგების დადგომის რისკებს. ისიც აღსანიშნავია, რომ კარგად გათვითცნობიერებული მომხმარებლის გარეშე ადგილობრივი ბაზრის შექმნა, საერთოდ, შეუძლებელი იქნება.

ბიოწახმოების ხელშემწყობი ფაქტორები

ბიოწახმოების ხელშემწყობი ფაქტორები შეიძლება 3 ჯგუფად დაიყოს:

1. ისტორიული და სოციალ-ეკონომიკური ფაქტორები:

ა. ქართველი მომხმარებელი სასურსათო პროდუქტების შერჩევის დროს ისტორიულად მათ გემოვნურ თვისებებზეა ორიენტირებული, რასაც ხშირად ვერ აკმაყოფილებს ინდუსტრიული წესით წარმოებული პროდუქცია;

ბ. ქიმიური პრეპარატების უკონტროლო და ჭარბი გამოყენების გამო მოსახლეობის ინტერესი ალტერნატიული პროდუქტებისადმი იზრდება;

გ. მოსახლეობის ცხოვრების დონის ამაღლებამ გამოკვეთა შედარებით გადახდისუნარიანი ფენა, რომელიც მზადაა გადაიხადოს მეტი ხარისხიან პროდუქტში.

2. პოლიტიკური და საკანონმდებლო ფაქტორები:

ა. საქართველოში მოქმედებს კანონმდებლობა ბიონარმოების შესახებ;

ბ. არსებობს და მოქმედებს ადგილობრივი ბიომასერტიფიცირებული ორგანო კავკასიური;

გ. სახელმწიფოს მიერ პრიორიტეტად არის დასახელებული ბიონარმოების განვითარება;

დ. სახელმწიფოს და დონორების მიერ ხორციელდება საინვესტიციო პროექტები და პროგრამები.

3. სანარმოო ფაქტორები:

ა. ფერმერებს აქვთ შესაძლებლობა ისარგებლონ პროგრამებით "დანერგე მომავალი" მოსავლის დაზღვევის პროგრამით, შპს "მექანიზატორის" მომსახურებით, სასოფლო-სამეურნეო კრედიტით და სხვადასხვა საგრანტო პროგრამით;

ბ. მიმდინარეობს ინფრაქტრუქტურული პროექტები (გზების და სარწყავი არხების აღდგენა);

გ. დონორი ორგანიზაციების მიერ ტარდება ტრენინგები სასოფლო-სამეურნეო და სოფლის მეურნეობასთან დაკავშირებულ საკითხებზე;

დ. ქვეყანაში ხელმისაწვდომი გახდა თანამედროვე სანარმოო საშუალებების ფართო ასორტიმენტი.

ყოველივე ზემოთაღნიშნულის გამო, ადგილობრივ ბაზარზე სწრაფად იზრდება მოთხოვნა ბიომეთოდებით წარმოებულ პროდუქტებზე, რაც - ჯერ-ჯერობით დაბალი კონკურენციის პირობებში - სწრაფად ამყარებს ბიონარმოებელთა მოტივაციას და უზრუნველყოფს მათი რაოდენობის მრდის მაღალ ტემპს (კვლევის დროს გამოკითხულთა ერთი მესამედიდან ნახევრამდე 2019 წელს იწყებს წარმოებას ან ელის პირველ მოსავალს).

გამოკითხვამ აჩვენა, რომ ადგილობრივი წარმოებისა და ბიოპროდუქტების სერტიფიცირების კიდევ ერთი მნიშვნელოვანი ხელშემწყობი ფაქტორია მზარდი საექსპორტო მოთხოვნა სერტიფიცირებულ ბიოპროდუქტებზე საერთაშორისო და პირველ რიგში ევროპის ბაზარზე.





III. შემდგომი ნაბიჯები

ქვემოთ განხილულია ბიონარმოების განვითარების შემაფერხებელი ძირითადი ფაქტორების აღმოსაფხვრელი რეკომენდებული სამაგალითო ღონისძიებები:

შემაფეხებელი ფაქტორი #1 - ბიოლოგიური წახმობის მცხიე მასშტაბები და სეხტიფიციხებული ბიოლოგიური პიოდექტის ხოგოხც მცხიე ხაოდენობა, ასევე ასოხციმენტი

რეკომენდაბული გადაწყვიტილება: ბიონარმოებით დაინტერესებული ფერმერებისა და მენარმეებისათვის ხელშემწყობი და მოტივაციის ასამაღლებელი პროგრამებისა და ღონისძიებების შემუშავება, რომლებიც მიმართული იქნება სრულფასოვანი სასაქონლო ჯაჭვების შექმნაზე.

განახორციელება: საქართველოს მთავრობა, სოფლის მეურნეობის და გარემოს დაცვის სამინისტრო და მისი სტრუქტურები, საერთაშორისო დონორი ორგანიზაციები, ფინანსური ინსტიტუტები.

განხორციელების გამოწვევები:

- შიდა ბიოლოგიური პროდექტების სტრუქტურის არარსებობა და ასევე სპორტო ბაზრებზე ინფორმაციის არარსებობა ამცირებს მწარმოებელთა სერტიფიციერების მოტივაციას;
- მოგადად ინფორმაციის ნაკლებობა როგორც მოსახლეობაში, ასევე მწარმოებლებში ბიონარმოების შესახებ და სპეციალური კვლევების ნაკლებობა ქვეყანაში როგორც ბიონარმოების ეფექტური მეთოდების და ტექნოლოგიების, ასევე მომგებიანობის და თვითღირებულების შესახებ, ართულებს ბიოლოგიურ სტანდარტებზე გადასვლის პროცესს;
- ხანგრძლივი კონვერსიის პერიოდი და კონვერსიის პერიოდისათვის მწარმოებლისათვის ალტერნატიული გასაღების არხების არარსებობა ზრდის ფინანსურ რისკებს.

- პერსპექტიული სასაქონლო ჯაჭვების შერჩევა და მიზნობრივი საგრანტო პროგრამების განხორციელება როგორც ადგილობრივი ბაზრის სასაქონლო ჯაჭვების აწყობისათვის, ასევე ექსპორტისთვის;
- მეტად მოთხოვნადი ბიოპროდექტების ჯგუფისათვის სამოდელო სასაქონლო ჯაჭვის აწყობის ხელშეწყობა (მაგალითად, რომელიმე სავაჭრო ობიექტში ბიოობსტისის კუთხის მოწყობა);
- სხვადასხვა პერსპექტიული პროდექტისათვის ეკონომიკური მომგებიანობის სამოდელო გათვლების წარმოება;
- ბიონარმოებაში ჩართვის მსურველი მენარმეებისათვის მიზნობრივი საგრანტო პროგრამების გამოცხადება და სუბსიდირების პროგრამების შემუშავება.

სამაგალითო ინთარვენციები:

- საერთაშორისო პრაქტიკის შესახებ ინფორმაციის ფართოდ გავრცელება და წარმატებული მაგალითების დემონსტრირება;

შემაფეხებელი ფაქტორი #2 - სეხტიფიციხების პიოცესის ხანგიძლივობა (3 წელი) და მაღალი ფასი.

რეკომენდაბული გადაწყვიტილება: ბიონარმოებელთა ხელშეწყობა სერტიფიციერებაზე დადგომაში.

განახორციელება: საქართველოს მთავრობა და სოფლის მეურნეობის და გარემოს დაცვის სამინისტრო, საერთაშორისო დონორები და არასამთავრობო სექტორი, ფინანსური ინსტიტუტები, ექსპორტიორები, ბიოპროდექტების საკონსოლიდაციო ცენტრები.

განხორციელების გამოწვევები:

- სერტიფიცირების მაღალი დანახარჯები ხელმიუწვდომელია საქართველოს მცირე და საშუალო ფერმერებისათვის;
- ფერმერთა და მწარმოებელთა გამოუცდელი ნებისმიერი სახის თანამედროვე სერტიფიცირების სისტემების დანერგვაში იწვევს კონვენსიის პროცესის გახანგრძლივების რისკებს;
- ხელმისაწვდომი ბიობამრების არარსებობა აქვეითებს ბიონარმოებაში ჩართვის მოტივაციას.

სამაგალითო ინტერვენციები:

- წარმატებული საერთაშორისო და ადგილობრივი მაგალითების ფართოდ გაშუქება და პოპულარიზაცია;
- კვალიფიციური ექსპერტების მოწვევა ბიოპერატორების კონსულტირებისათვის კონვენსიის პერიოდში;

- სერტიფიცირების პროცესის დაფინანსების საგრანტო პროგრამის შემუშავება და ამოქმედება;
- წარმატებული საერთაშორისო და ადგილობრივი მაგალითების ფართოდ გაშუქება და პოპულარიზაცია;
- კვალიფიციური ექსპერტების მოწვევა ბიოპერატორების კონსულტირებისათვის კონვენსიის პერიოდში;
- სერტიფიცირების პროცესის დაფინანსების საგრანტო პროგრამის შემუშავება და ამოქმედება;
- პერსპექტიული სასაქონლო ჯაჭვების შერჩევა და მიზნობრივი სრულფასოვანი ხელშეწყობი საგრანტო პროგრამების გამოცხადება;
- სერტიფიცირებისა თუ კონვენსიის დროს რისკების დაზღვევის სახელმწიფო მხარდაჭერა.

შემაფეხხებელი ფაქტორი #3 - ფეხმეხთა ცოდნის ნაკლებობა ბიოლოგიური აგროწარმოების საკითხებში და კვალიფიციური ბიოლოგიური ექსპერტების ხელმიუწვდომლობა.

რეკომენდაციური გადაწყვეტილება: ეფექტური ბიოსაკონსულტაციო სისტემის შექმნის ხელშეწყობა.

განხორციელებლები: სასოფლო-სამეურნეო დარგის სხვადასხვა სპეციალისტი; სასოფლო-სამეურნეო კვლევის ცენტრი; სოფლის მეურნეობის და გარემოს დაცვის სამინისტროს საინფორმაციო-საკონსულტაციო რეგიონალური ოფისები; კერძო ექსპერტები; მოწვეული ექსპერტები; ექსტენციის საქმეში ჩართული ორგანიზაციები და კერძო პირები; მკვლევრები; აგრარული უნივერსიტეტები, კოლეჯები და ტრენინგ-ცენტრები.

განხორციელების გამოწვევები:

- ფერმერთა საწყისი ცოდნის უკმარობა სასოფლო-სამეურნეო საკითხებში;
- კვლევების არარსებობა საქართველოს პირობებში ბიომეთოდების გამოყენების შესახებ სხვადასხვა (ძირითად) კულტურაზე;
- ადგილობრივი სპეციალისტების არასაკმარისი რაოდენობა;
- სპეციალისტების ხელმიუწვდომლობა რეგიონებში და მათი მომსახურების მაღალი თვითღირებულება.

სამაგალითო ინტერვენციები:

- საერთაშორისო ექსპერტების ჩართვა ადგილობრივი სპეციალისტების გადამზადების პროცესში;

- არსებული სპეციალისტების გადამზადების პროგრამის შემუშავება და განხორციელება. განსაკუთრებული ყურადღების გამახვილება რეგიონებში არსებული სპეციალისტების გადამზადებაზე;
- საერთაშორისო ექსპერტების თანამონაწილეობით საპილოტე ბიონარმოების პროექტების განხორციელება და საწარმოო საშუალებების გამოცდა;
- სადემონსტრაციო მოდელების მოწყობა;
- წარმატებული მაგალითების ფართოდ გაშუქება;
- არსებული რეგიონალური საკონსულტაციო სამსახურების გაძლიერება ბიონარმოების სპეციალისტებით;
- განათლების პროგრამებში (საუნივერსიტეტო, საკოლეჯო) ბიონარმოების პროგრამის შემოღება და სათანადო მეთოდური და სასწავლო მასალების შექმნა;
- ფერმერთა და მეწარმეთა გადამზადების პროგრამების განხორციელება.

შემაფეხებელი ფაქტოხი #4 - საწახმოო საშუალებების ხელმეწელობა

რეკომენდებული გადაწყვეტილება: ბიოსაწარმოო საშუალებების ასორტიმენტის გაზრდის ხელშეწყობა იმპორტიორების მოზიდვითა და ადგილობრივი წარმოების ხელშეწყობის გზით.

განმარტვილობა: საქართველოს მთავრობა, სოფლის მეურნეობის და გარემოს დაცვის სამინისტრო და მისი სტრუქტურები (სურსათის უვნებლობის ეროვნული სააგენტო, სასოფლო-სამეურნეო კვლევების ცენტრი,) მასერტიფიცირებელი ორგანოები, საწარმოო საშუალებების სარეალიზაციო ქსელები.

განმარტვილობის გამოწვევა:

- მრავალი ტიპის საწარმოო საშუალებების გამოუცდლობა საქართველოს პირობებში;
- ადგილობრივი სპეციალისტების გამოუცდლობა ბიოლოგიური საწარმოო საშუალებების გამოყენებაში და მათი გამოყენების ეფექტის არცოდნა;
- გამოყენების ხარვეზის შემთხვევაში მოსავლის დაკარგვის მაღალი რისკები;
- ინტერესთა კონფლიქტი არსებული სარეალიზაციო ქსელების გამოყენების შემთხვევაში;
- საწარმოო საშუალებების რეალიზატორების (ეგრეთ წოდებული - ფერმერთა მომსახურების ცენტრების) გამოუცდლობა ბიოლოგიური პრეპარატების დასაწყობებისა და რეალიზაციის სტანდარტების და ამ საწარმოო საშუალებების გამოყენების წესების შესახებ კონსულტირების საკითხებში;
- საწარმოო საშუალებების რეგისტრაციის ხანგრძლივი პროცედურები ადგილობრივი წარმოებისათვის.

სამაგალითო ინტერვენცია:

- საწარმოო საშუალებების მწარმოებლების წარმომადგენლების მიერ საწარმოო საშუალებების რეალიზატორებისათვის, სპეციალისტებისათვის და ფერმერებისათვის დეტალური ინსტრუქტაჟის ჩატარება (ტრენინგები, საინფორმაციო შეხვედრები, ინსტრუქტაჟები) გამოყენების წესების და სავარაუდო ეფექტის საკითხებზე;
- მწარმოებლებს, იმპორტიორებსა და ფერმერებს შორის კავშირების დამყარების ხელშეწყობა;
- სადემონსტრაციო ნაკვეთების მოწყობის ხელშეწყობა;
- საწარმოო საშუალებების გამოცდაში და რეგისტრაციაში ხელშეწყობა;
- საწარმოო საშუალებების გამოყენების წესების და შედეგების საინფორმაციო მასალების მომზადება და გამოცემა;
- დოტაციების შემოღება წარმოების პროცესში ბიოლოგიური საწარმოო საშუალებების გამოყენების შემთხვევაში.

შემაფეხებელი ფაქტოხი #5 - ინფორმაციის ნაკლებობა ბიოპროდუქტების ხოგოხც ადგილობრივი, ასევე საქსპოხგო ბაზრების შესახებ

რეკომენდებული გადაწყვეტილება: კვლევების ჩატარება ადგილობრივი ბაზრის მომხმარებელთა მოთხოვნების და საერთაშორისო ბაზრების ტენდენციების შესახებ და რეკომენდაციების შემუშავება ქართული ბიოპროდუქტების მწარმოებლებისათვის და პოტენციური ინვესტორებისათვის; პრიორიტეტული მიმართულებების დადგენა.

განმარტვილობა: კვლევითი ცენტრები; არასამთავრობო და საერთაშორისო ორგანიზაციები, სავაჭრო პალატა, კერძო მკვლევრები, იმპორტიორები, ექსპორტიორები, ექსტენციის სამსახურები.

განმარტვილობის გამოწვევა:

- ადგილობრივ ბაზარზე ბიოპროდუქტების შესახებ ინფორმაციის ნაკლებობა მომხმარებლებში და სასაქონლო ჯაჭვების წარმომადგენლებში;
- საერთაშორისო ბაზრების შესახებ ინფორმაციის ნაკლებობა;

- შიდა ბიოპროდუქტების სისტემის არარსებობა და ექსპორტიორთა რაოდენობის სიმცირე.


სამაგალითო ინტერვენცია:

- კვლევის ჩატარება შიდა ბაზრის პოტენციის შესახებ, რომელშიც გამოიყოფა პრიორიტეტული ბიოპროდუქტების ჯგუფები;

•კვლევის ჩატარება ქართული ბიოპროდუქტებისათვის საექსპორტო ბაზრების ათვისების პოტენციალის დასადგენად;

•წარმოების განვითარების ეფექტური სტრატეგიების შემუშავება;

•საინფორმაციო კამპანიების განხორციელება, სპეციალური ვებ-პორტალის შექმნა; ინფორმაციის განახლების სისტემის მუშაობის უზრუნველყოფა.



დანართი 1.

რესპონდენტი ფერმერების, კოოპერატივებისა და კომპანიების სია

	სახელი	სამართ. ფორმა	რეგიონი
პირველადი მწარმოებელი			
1	აკაკი ღლონტი	ფერმერი	გურია
2	დავით თენგიშვილი	ფერმერი	გურია
3	მთის პროდუქტები	კოოპერატივი	მცხეთა-თიანეთი
4	თამარ ღანეშაშვილი	ფერმერი	მცხეთა-თიანეთი
5	ფერეთა ჩაი	შპს	იმერეთი
6	ლაშა ღლონტი	ფერმერი	გურია
7	ნარგიზა ქადარია	ფერმერი	ქვემო ქართლი
8	გიორგი ნონიაშვილი	ფერმერი	ქვემო ქართლი
9	გიორგი ლომიძე	ფერმერი	სამცხე-ჯავახეთი
10	იამზე ხუციშვილი	ფერმერი	სამცხე-ჯავახეთი
11	ვალიდა გაჩეჩილაძე	ფერმერი	სამცხე-ჯავახეთი
12	სოფლის განვითარების ასოციაცია	კოოპერატივი	სამცხე-ჯავახეთი
13	თოკის ბიოლოგიური მეურნეობა	შპს	სამცხე-ჯავახეთი
14	გეა ლოგოსი	შპს	კახეთი
15	შავრა	შპს	შიდა ქართლი
16	ოთარ ნობაძე	ფერმერი	კახეთი
17	მარინა ჩარხოშვილი	ფერმერი	კახეთი
18	ლალი ლაგაზიძე	ფერმერი	კახეთი
19	ალვანი აგრო	კოოპერატივი	კახეთი
20	ლალი სიხაშვილი	ფერმერი	კახეთი
21	ემზარ გახუტიშვილი	ფერმერი	კახეთი
22	ნერგები	კოოპერატივი	კახეთი
23	ბჟჟან მაჭავარიანი	ფერმერი	იმერეთი
24	ირრიკულტ ჯი	შპს	კახეთი
25	მეხილეობა რიონი	კოოპერატივი	იმერეთი

	სახელი	სამართ. ფორმა	რეგიონი
26	ოქროს კოოპერატივი	კოოპერატივი	აჭარის არ
27	სანირე	კოოპერატივი	იმერეთი
28	მარიკა ყანდორელაშვილი	ფერმერი	შიდა ქართლი
29	გიორგი კოკობაშვილი	ფერმერი	შიდა ქართლი
30	ბესიკ კეკელიძე	ფერმერი	კახეთი
31	ზაალ გულიაშვილი	ფერმერი	შიდა ქართლი
32	ალექსანდრე გეგელაშვილი	ფერმერი	შიდა ქართლი
33	ნოდარ ციცავი	ფერმერი	შიდა ქართლი
34	ზაქარია ლაშარაშვილი	ფერმერი	შიდა ქართლი
35	კახი ბიჭიკაშვილი	ფერმერი	შიდა ქართლი
36	აგრო ბიო პლანტი	შპს	მცხეთა-თიანეთი
37	ანზორ მაისურაძე	ფერმერი	შიდა ქართლი
38	თორნიკე ბერიძე	ფერმერი	მცხეთა-თიან.
39	ავთანდილ ბერიძე	ფერმერი	ქვემო ქართლი
40	მიხეილ კირაკოზიანი	ფერმერი	ქვემო ქართლი
41	მერაბ კეჩხოშვილი	ფერმერი	კახეთი
42	ფიჭი	შპს	ქვემო ქართლი
43	მაია ბიგვაგა	ფერმერი	ქვემო ქართლი
44	მიხეილ მდინარაძე	ამხანაგობა	კახეთი
45	ნინო ონაშვილი	ფერმერი	კახეთი
46	ქეთევან დიდმანიძე	ფერმერი	სამცხე-ჯავახეთი
47	ოფენი	შპს	კახეთი
48	ზაქარია ბერიძე	ფერმერი	ქვემო ქართლი
49	დავით ტროლაშვილი	ფერმერი	ქვემო ქართლი
50	გელა ზენაიშვილი	ფერმერი	გურია
51	გევაგო-2016	შპს	გურია
52	გიორგი გულბანი	ფერმერი	ქვემო ქართლი

	სახელი	სამართ. ფორმა	რეგიონი
53	გიორგი ვასაძე	ფერმერი	კახეთი
54	გიორგი ხვედელიძე	ფერმერი	კახეთი
55	ლანა გოგილაშვილი	ფერმერი	მცხეთა-თიანეთი
56	ნანა შარაშიძე	ფერმერი	შიდა ქართლი
57	ფრაგოლი	შპს	ქვემო ქართლი
58	ნინო ზურიაშვილი	ფერმერი	კახეთი
59	გიორგი შათირიშვილი	ფერმერი	ქვემო ქართლი
60	ბიო ორგანიკ ჯორჯია	შპს	ქვემო ქართლი
61	ლაშა სუხიაშვილი	ფერმერი	ქვემო ქართლი
62	თეონა ბინკინაშვილი	ფერმერი	კახეთი
63	შენაბადა	შპს	შიდა ქართლი
64	გიორგი გეგელია	ფერმერი	შიდა ქართლი
65	თამარ ნიკლაური	ფერმერი	მცხეთა-თიანეთი
66	ირინა მშენიერიძე	ფერმერი	კახეთი
67	ელენე ფალავანდიშვილი	ფერმერი	ქვემო ქართლი
68	ზურაბ აბუაშვილი	ფერმერი	სამეგრელო-ზემო სვანეთი
69	თეა ქუთათელაძე	ფერმერი	ქვემო ქართლი
70	დარეჯან ქომოშვილი	ფერმერი	სამცხე-ჯავახეთი
71	დურმიშხან ლაცაბიძე	ფერმერი	შიდა ქართლი
72	კახა ფეიქრიშვილი	ფერმერი	ქვემო ქართლი
73	კახაბერ ბახტაძე	ფერმერი	ქვემო ქართლი
74	მათე ჩიტაშვილი	ფერმერი	ქვემო ქართლი
75	თამაზ ნიპარიშვილი	ფერმერი	შიდა ქართლი
76	დავით გელაზონია	ფერმერი	სამეგრელო-ზემო სვანეთი
77	სერგო ქარდავა	ფერმერი	სამეგრელო-ზემო სვანეთი
78	მარინა ბეჭვია	ფერმერი	სამეგრელო-ზემო სვანეთი
79	რომეო მერევაშვილი	ფერმერი	მცხეთა-თიანეთი

	სახელი	სამართ. ფორმა	რეგიონი
80	დავით ჭყონია	ფერმერი	სამეგრელო-ზემო სვანეთი
81	პლატონ დარჯანია	ფერმერი	სამეგრელო-ზემო სვანეთი
82	ბჟან ნაჩხუა	ფერმერი	სამეგრელო-ზემო სვანეთი
83	გიორგი კოკაია	ფერმერი	სამეგრელო-ზემო სვანეთი
84	სეირან ამაზარიანი	ფერმერი	სამცხე-ჯავახეთი
85	აპეტნაკ ბანდარიანი	ფერმერი	სამცხე-ჯავახეთი
86	თინათინ ჭითანავა	ფერმერი	თბილისი
87	ფეარ თრიზი	შპს	რაჭა-ლეჩხუმი
88	ია დევნობაშვილი	ფერმერი	ქვემო ქართლი
89	ანა მღებრიშვილი	ფერმერი	კახეთი
90	ზაზა ხარიბეგაშვილი	ფერმერი	შიდა ქართლი
91	გემუანი	შპს	სამეგრელო-ზემო სვანეთი
92	დემეტრა გ.ს.	შპს	კახეთი
93	ბიომეურნეობა ფონა	შპს	კახეთი
94	არომა პროდუქტი	შპს	ქართლი, კახეთი
95	კახეთი ბიო	შპს	კახეთი
96	ნაგომარი	კოოპერატივი	გურია
97	ანდრანიკ მურადიანი	ფერმერი	სამცხე-ჯავახეთი
98	გიორგი საბაშვილი	ფერმერი	კახეთი
99	ბელა მუთოშვილი	ფერმერი	კახეთი
100	პაატა ძულიაშვილი	ფერმერი	კახეთი
101	ალექსანდრე კილაძე	ფერმერი	კახეთი
102	დავით განჯელაშვილი	ფერმერი	შიდა ქართლი
103	ნაფარეულის ბიოღვინო	კოოპერატივი	კახეთი
104	ბენო	კოოპერატივი	სვანეთი
105	ნიჩბურა-2015	კოოპერატივი	ქვემო ქართლი
106	სანფლოუერ ჰელფედ სტო	შპს	თბილისი

	სახელი	სამართ. ფორმა	რეგიონი
107	ხვერდოვანი ჩაი	კოოპერატივი	იმერეთი
108	ჯეოფლაუერი	შპს	რაჭა-ლეჩხუმი, გურია
109	ბარაქა	კოოპერატივი	შიდა ქართლი
110	გიორგი ახალბედაშვილი	ფერმერი	კახეთი
111	ოთარ დავითაშვილი	კოოპერატივი	მცხეთა-თიანეთი
112	გიორგი ბებურიძე	ფერმერი	კახეთი
113	მოხევერი პროდუქტი	კოოპერატივი	მცხეთა-თიანეთი
114	თუშეთის ნობათი	კოოპერატივი	კახეთი
115	ავთანდილ ოთარაშვილი	ფერმერი	კახეთი
116	ბადრი ციქურაძე	ფერმერი	შიდა ქართლი
117	ბესო მუავანაძე	ფერმერი	გურია
118	გიორგი ლომიძე	ფერმერი	კახეთი
119	გლახო ხარაიშვილი	ფერმერი	კახეთი
120	გოგი ოტიაშვილი	ფერმერი	კახეთი
121	როკი	კოოპერატივი	კახეთი
122	ლევან ესიტაშვილი	ფერმერი	კახეთი
123	მირიან კოჭაური	ფერმერი	კახეთი
124	ნუგზარ ხარაიშვილი	ფერმერი	კახეთი
125	ტირიფონა-2014	კოოპერატივი	შიდა ქართლი
126	თამაზ ჭილაძე	ფერმერი	კახეთი
127	ვახტანგ დალაქიშვილი	ფერმერი	კახეთი
128	ზურაბ მოგელაძე	ფერმერი	კახეთი
129	გილე	კოოპერატივი	კახეთი
130	ეკა თოლაძე	ფერმერი	კახეთი
131	გვანცა აქიმიძე	ფერმერი	კახეთი
132	იროდი ბუქვაიძე	ფერმერი	კახეთი
133	ენოკ ბაბაჯანიანი	ფერმერი	კახეთი

	სახელი	სამართ. ფორმა	რეგიონი
134	ელიზარ ალაჭანიანი	ფერმერი	სამცხე-ჯავახეთი
135	მახარე მაცუკატოვი	ფერმერი	სამცხე-ჯავახეთი
136	ალექსანდრე ვაშაკიძე	ფერმერი	ქვემო ქართლი
137	ნიკა ბაგალიშვილი	ფერმერი	კახეთი
138	ნიკოლოზ ბედოშვილი	ფერმერი	მცხეთა-თიანეთი
139	თუშეთი-2015	კოოპერატივი	კახეთი
140	აგროკომი	შპს	შიდა ქართლი
141	მნკ ჯგუფი	შპს	იმერეთი
142	კენკრის მწარმოებელთა ასოციაცია	ასოციაცია	კახეთი
143	კულა	შპს	შიდა ქართლი

გადამამუშავებელი

1	იბერია ფრუტს	შპს	მცხეთა-თიანეთი
2	ხილარი	შპს	შიდა ქართლი
3	თიანეთის ნობათი	კოოპერატივი	მცხეთა-თიანეთი
4	ბითაძე	შპს	იმერ., სამ.-მ.სგ., გურია
5	ბი-პი-სი	შპს	თბილისი
6	კონა	კოოპერატივი	შიდა ქართლი
7	ჯორჯიან შერბს	შპს	თბილისი
8	ჩირიფრუტი	შპს	თბილისი
9	დიენსი ჯგუფი	შპს	თბილისი
10	დარეჯან ბერძენიშვილი	ფერმერი	გურია
11	სოპისის ახალგაზრდული კოოპერატივი	კოოპერატივი	შიდა ქართლი
12	ტყიბულის ჩაი	შპს	იმერეთი
13	ანასეულის ჩაი	შპს	გურია
14	იოსებ ბარიშვილი (ბარვილი)	ფერმერი	შიდა ქართლი
15	მარიამ იაშვილი (დაჩირე)	ფერმერი	კახეთი
16	სომეჯი	კოოპერატივი	მცხეთა-თიანეთი

	სახელი	სამართ. ფორმა	რეგიონი
--	--------	---------------	---------

მოვაჭრე

1	მარია კველიშვილი	ფერმერი	თბილისი
2	ბიო ველი	შპს	თბილისი
3	სოფლიდან.გე	შპს	თბილისი
4	რესტორანი ეზო	შპს	თბილისი
5	ლა-ლა-ლემბი	შპს	თბილისი